პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 61 (20402) — სამშაბათი, 14 მარტი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

მე-2 გვ.

● ხშირად ელაპარაკობთ იმის შესახებ, რომ მინას დაუდევრად, უყაირათოდ ვექცევით. გაუთავებელმა რეფორმებმა გლეხკაცს გული გაუტეხა. დაცარიელდა სოფლები, მომრავლდა ნასოფლარები, სახნავ-სათესი ბუჩქნარმა დაფარა. სოფელს დღეს ბევრი სატკივარი აქვს. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს („მიწასთან იჯარა მიგვიყვანს").

მე-3 გვ.

● თითქმის მთელი თვე გავიდა, რაც აკადემიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა დამთავრდა. თითქოსდა ყველა პირობა შეიქმნა ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, მაგრამ დაძაბული სიტუაცია ავღანეთში კი არ ნელდება, არამედ სულ უფრო იზრდება („საბჭოთა მთავრობის განცხადება").

● მიწისძვრის წინასწარმეტყველებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს ურთულესი პრობლემა მოითხოვს სტიქიის ადგილის, სიმძლავრისა და დროის განსაზღვრას („ენგურის პიდროკვანძი და... მიწისძვრები").

მე-4 გვ.

● მთელი საქართველო გახდა სომხეთიდან მიწისძვრას გამორიდებული ოჯახების კეთილი მასპინძელი. ყველას სურს თავისი ნილი მაკლამო დაადოს მოძმეთა წყლულებს. სხორედ ამას „ასახავს" ოზურგეთ-ბორჯომის ორერისა და ბალეტის თეატრის „ბანერების" ბერეთ-სოლნალში გამართული ფოტოგრაფიც („ყველაზე კარგი წამალი").

● მართალია, რესპუბლიკაში შემცირდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, მაგრამ იმატა ავტოავარიების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა. ეს იმის პირდაპირი შედეგიცაა, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთ რეგიონალურ ქვედანაყოფში არ იგრძნობა გარდაქმნა-გარდატეხა („ერთად, თანადგომით").

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ დარგების, მათ შორის სამრეწველო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის შედეგად შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოდავეობის მთავარი აზრია შრომა, მისი დაგეგმვა, მისი ორგანიზაცია, მისი შემსუბუქება, მისი სტიმულირება. ეს გახლავთ შრომითი კოლექტივების საბჭოები, რომელთა ჩამოყალიბების აუცილებლობაზე ყურადღება გამახვილებულია სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებში. დემოკრატიზაცია, შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის დანერგვა ეკონომიკის ძირეული რეფორმის შემადგენელი ნაწილია და მოწოდებულია გზა გადაუღობოს მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს, უზრუნველყოს შრომის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის არსებითი ზრდა.

საწარმოს საერთო კრებების შუალედებში შრომითი კოლექტივის საბჭო მმართველობის უმაღლესი ორგანოა და მისი გადაწყვეტილების შესრულება აუცილებელია როგორც ადმინისტრაციისათვის, ისე მთელი კოლექტივისათვის. ასეთი სრულუფლებიანი საზოგადოებრივი ორგანოს არსებობა ჩვენ არ გვახსოვს.

სიტყვა, დემოკრატიზაციის, ნამდვილი სოციალისტური თვითმმართველობის სწავლა ახლახან დაიწყეს კოლექტივებმა და მათ მოქმედებას ამ მხრივ განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. სწორედ ამ კანონის საფუძველზე გახდა შრომითი კოლექტივის საბჭო საწარმოს მუდმივმოქმედი სრულუფლებიანი თვითმმართველობის ორგანო.

შრომითი კოლექტივების საბჭოების შექმნისა და მათი მუშაობის პირველი გამოცდილება ცხადყოფს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს რესპუბლიკაში რთულად, წინააღმდეგობრივად, შეცდომებითა და ეშვრად, თვითმმართველობის არსის დამახინჯებითაც მიმდინარეობს და ვითარდება. ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ურალის განყოფილებამ შარშან გაანორციელა სოციოლოგიური გამოკითხვა. მასში მონაწილეობდნენ სამრეწველო საწარმოთა 260 ხელმძღვანელი და წამყვანი სპეციალისტი, აგრეთვე 175 საწარმოს, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები.

გამოვლინდა, რომ გამოკითხულ ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მხლოდ 28,5 პროცენტი უჭერს მხარს მთლიანად შრომითი კოლექტივის საბჭოების შექმნას და მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათს მუშაობასა და განვითარებაში. 57 პროცენტს კი მოსწონს თვითმმართველობის იდეა, მაგრამ მიაჩნია, რომ ამ საქმისგან არაფერი გამოვა, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ძველებურად დარჩება. მათგან თითქმის ყოველი მესამე კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, საერთოდ უარყოფითად უყურებს თვითმმართველობას.

არც შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები აღმოჩნდნენ მთლიანობაში აღტაცებულნი. მათი 18 პროცენტი კმაყოფილია საბჭოების მოქმედებით. 57 პროცენტი კმაყოფილია ნაწილობრივ, 15,4 პროცენტი კი სერთოდ არ არის კმაყოფილი საბჭოების მუშაობით.

თვითმმართველობის ორგანიზატორებისა და მონაწილეებთან წინაშე წამოიჭრა პრობლემათა ფართო წრე, რომელთა გადაწყვეტა მათთვის არ აღმოჩნდა ადვილი და ამან გამოიწვია უკმაყოფილება. ასეთი ვითარების მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ახალი ორგანოს არსებობის მიზნის, არსის, პრინციპის, ფორმისა და მუშაობის მეთოდის არასათანადო ცოდნა გახლავთ. ეს გამოუცდელობის ბრალია. ამ ნაკლოვანებებთან გამოსასწორებლად ჩვენი რეს-პუბლიკის შრომითი და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტი ქმედით ღონისძიებებს ანხორციელებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე საქმე წინ წაიწევს. გარდა ამისა, თვით შრომითი კოლექტივების საბჭოები შეიძენენ თანდათან გამოცდილებას და უფრო სრულყოფილად წარმართავენ მუშაობას.

ჯერ კიდევ ყველა საბჭოსათვის არ არის ნათელი, თუ რით უნდა იყვნენ დასაქმებული, მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, ისინი მოქმედებენ და იძენენ გამოცდილებას.

ამაზე მეტყველებს თუნდაც თბილისის „ელექტროაპარატის" საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივის საბჭოს მუშაობაც. მისმა თავმჯდომარემ, სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალმა ვახტანგ ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ნორმალური მოქმედებისათვის მათ არა აქვთ დებულება, სახელმძღვანელო, გარდა რეკომენდაციებისა, რომლებიც ძირითადად არჩევნების ჩატარებას ეხება. საბჭოს სიარული უხდებოდა ნახევრად გაუკვალავი გზით, მაგრამ მაინც ბევრს მიაღწია. ადმინისტრაციასთან, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და ეკონომიკურ სამსახურთან ერთად მან შეისწავლა მიმდინარე წლის გეგმის ფორმირების საკითხი. საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ გეგმა 82 მილიონი მანეთით განსაზღვრა. სხდომის ოქმი შესახამის სამინისტროს გაეგზავნა, რომელმაც, თავის მხრივ, გეგმა 4 მილიონი მანეთით გაზარდა და არ გაითვალისწინა ვერ ერთიანების საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებლობანი.

ამას არ დაეთანხმნენ და დიდი დავის შემდეგ სამინისტროს ნაწილობრივ გაუნიავა საბჭოს მოთხოვნა, გეგმა 83 მილიონ მანეთამდე შეამცირა. რაც შეეხება სახელმწიფო შეკვეთას, სამინისტროს იგი 79 მილიონი მანეთის ფარგლებში დაადგინა, თუმცა საამისოდ მხლოდ 74 მილიონი მანეთის მასალებით უზრუნველყო ერთიანება. ესე იგი წარმოება მიიღებს აუცილებელზე 872 ტონით ნაკლებ ლითონს. არადა, ვაერთიანების ერთ-ერთ საწარმოში — კახპის ელექტროაპარატურის ქარხანაში ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია აწყვია საჭირო რეზინის უქონლობის გამო. შრომითი კოლექტივის საბჭო შეუნელებლივ იბრძვის წესრიგის დასამყარებლად. ვახტანგ ლორთქიფანიძე თვითონ იყო მივლინებული სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროში და ბევრი რამ გადაწყვიტა ვაერთიანების სასარგებლოდ.

მიმდინარე წლის 2 თებერვალს საბჭომ არჩევნები ჩაატარა ვაერთიანების კადრების განყოფილების უფროსის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. საბჭოსო მოსამზადებელი სამუშაოები ერთი თვის წინ დაიწყო. შვიდი კანდიდატურიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა სამს და აქედან გამარჯვა ყველაზე ღირსეულმა. ერთი სიტყვით, შრომითი კოლექტივის საბჭო ცდილობს გაერთიანების ცხოვრების ყველა მხარე ჰქონდეს მხედველობაში არსში და თან სწავლობს მუშობას.

რესპუბლიკის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტმა სამრეწველო საწარმოების გარდა, შრომითი კოლექტივების საბჭოების მუშაობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშიც შეისწავლა. მათ შორის — ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებაში, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ შრომითი კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეებად ძირითადად მუშაობენ გამოცდილი, საქმის ერთგული, ავტორიტეტიანი ადამიანები. მართალია ძნელად, მაგრამ საბჭოები ნელ-ნელა უკვე იმუშავებენ მოქმედების საკუთარ სტილსა და მეთოდებს. ამავე დროს ზოგიერთი მათგანის სტრუქტურა და შემადგენლობა არ შეესაბამება სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს. იგივე ნავთობის მრეწველობის ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების შრომითი კოლექტივის საბჭოს შემადგენლობაში არრეული იყო 39 კაცი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეკომენდებულ ნორმას (30 კაცი). საბჭო კი მობილური და ადვილად სამართავი უნდა იყოს. ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის საბჭოს მუშაობის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ მისი შემადგენლობა ძირითადად დაკომპლექტებული იყო ადმინისტრაციის წარმომადგენლებით — 14 კაციდან მხლოდ სამი, რიგითი თანამშრომელი. ეს კი საბჭოს სამმართველო აპარატთან გაიგივებას ნიშნავს.

შემოწმებისას ზოგიერთ ორგანიზაციაში საკმაოდ არ ჭარხდათ შემუშავებული დებულება შრომითი კოლექტივების საბჭოების შესახებ. რაც შეეხება ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის საბჭოს, მას ღონისძიებების გეგმაც კი არ აღმოაჩნდა.

გარდა ამისა, ზოგიერთი ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის საბჭოსა და პროფკავშირული ორგანიზაციის სამუშაო გეგმებში შეიმჩნევა დუბლირება და პარალელიზმი. საბჭოები, მაგალითად, დიდ უურადღებას უთმობენ ბინებისა და ავტომობილების განაწილებას. არადა, ეს ხომ, რომ იტყვიან, პროფკავშირული ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. საბჭომ ამ მხრივ პროფკავშირის კომიტეტის მუშაობა უნდა გააკეთიროს და თვითონ არ უნდა იკისროს ბინებისა და ავტომობილების განაწილება.

მთელ რიგ შრომითი კოლექტივების საბჭოებში მოქმედებენ სხვადასხვა კომისიები, რომლებსაც სათავეში უდგანან ინსტიტუტების შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, რაც სრულიადაც არ არის აუცილებელი. არ არის იმიტომ, რომ ისინი ისედაც ავალებენ პასუხს ამ მიმართულებით ორგანიზაციის მუშაობისათვის. თორემ რა გამოდის, იქმნება სისტემა, რომელიც დუბლირებას უწევს სამმართველოს ფუნქციონალურ სქემას. საქსახარომრეწველო საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომისიას სათავეში უდგას საგეგმო განყოფილების უფროსი, დამუშავებული დოკუმენტაციის ხარისხის კომისიას — განყოფილების მთავარი კონსტრუქტორი. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ კომისიებს სხვა განყოფილებების რიგითი მუშაკები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო აუცილებელი ინფორმაციების მომზადება შრომითი კოლექტივის საბჭოს სხდომაზე მოსახსმენად დაეკვალოთ სამსახურების ხელმძღვანელებს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ დასახელებული ინსტიტუტების შრომითი კოლექტივების საბჭოების წევრთა ეკონომიკურ სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

გარკვეული ღონისძიებები განახორციელეს „თბილკონდიტერის" საწარმოო გაერთიანების და საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის შრომითი კოლექტივების საბჭოებმა. პირველ მათგანში, მაგალითად, შრომითი კოლექტივის საბჭომ შეისწავლა და განიხილა თავის სხდომაზე საგეგმო და შრომის დისციპლინის, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, ნედლეულისა და მასალების ეკონომიის საკითხები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხი საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკის შრომითი კოლექტივის საბჭოს უურადღების ცენტრშიც მოექცა. აქ გარდა ამისა განიხილეს საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის გამოთავისუფლებისა და შემდგომი დასაქმების საკითხები. ოთხივე საწარმოს შრომითი კოლექტივის საბჭომ განიხილა აგრეთვე სამუშაო ადგილების ატესტაციის საკითხები და აღნიშნა, რომ 1985-1986 წლების ატესტაცია განხორციელდა ძველებურად, ძირითადი მეთოდიკური და ნორმატიული მასალების გამოუყენებლად, სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩაუტარებლად და ამიტომ სახურველ შედეგს ვერ მოაღწიეს. ხაზი გაესვა იმასაც, რომ პირველი ატესტაციის მიმდინარეობაში არ მონაწილეობდნენ მუშები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოების გადაწყვეტილებები ხელმეორე ატესტაცია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხორციელდება.

გვახსოვდეს, რომ შრომითი კოლექტივის საბჭომ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმოს კოლექტივის ძირეულ ინტერესებს, მისი ეკონომიკური და სოციალური მხარის გარდაქმნას, წარმოების რეზერვების გამოვლენასა და ეფექტიანობის ზრდას. მან უნდა აკონტროლოს ადმინისტრაციის მიერ გეგმის შედგენის პროცესი, განიხილოს გეგმის პროექტი და გამოიტანოს იგი კოლექტივის განსახილველად, მოამზადოს ორგანიზაციული სტრუქტურის, ტექნიკისა და მართვის მეთოდების სრულყოფის წინადადებები. მან ვე უნდა განიხილოს კოლექტივის განვითარების ფონდის გამოყენების საკითხი, უზრუნველყოს სოციალური სიკეთის საჭარო და დემოკრატიული განაწილება, ცხადია, მასვე ეხება წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ხელის შრომის შემსუბუქების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, უშიშროების ტექნიკისა და შრომის დაცვის საკითხები და სხვა.

მაშ ასე, შრომითი კოლექტივების საბჭოებმა ჯერ თავიანთი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები გადადგეს, მათი ძიებისა და ექსპერიმენტების სარბიელი ძალიან დიდია და, აქედან გამომდინარე, შეცდომებიც გარდაუვალია. ამიტომ ვიქონიოთ მოთმინება. დრო, რომ იტყვიან, ყველაფრის მკურნალია და აქაც უთუოდ გაიკეთებს თავის საქმეს.

სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან

მეტი პრაქტიკული საქმე

დღეს აღარ კმარა ცხოვრების ყველა სფეროში დაგროვილ ნეგატიურ მოვლენათა ჩამოთვლა. საჭიროა მტკიცე ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად, საჭიროა რეალური წარმატებები ყოველ უბანზე — ასეთია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების მთელი ახლანდელი საარჩევნო კამპანიის ლეიტმოტივი.

ამ პოზიციებიდან მიმდინარეობდა გულახდილი, დინტერესებული სჯა-ბაასი ამომრჩეველთა შეხვედრებზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთან №1555 თბილისის პირველი მაისის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯ. ი. პატიაშვილთან რესპუბლიკის სახაგრომრეწვსა და საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ᲪᲝᲪᲮᲚᲘ, გულახდილი, პრინციპული გამოდგა საუბარი სახაგრომრეწვში პრობლემებზე, რომლებიც დღეს ყველაზე მეტად აწუხებს ადამიანებს და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება.

ერთი ამ პრობლემათაგანი — მოსახლეობის მომარაგება სურსათით — პარტიის ყველაზე გადაუდებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანაა, ხაზგასმით ითქვა შეხვედრაზე. გაიზიარეს რა მშრომელთა შეშფოთება ამ უმნიშვნელოვანეს სოციალურ სფეროში არსებული საქმის ვითარების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ გ. დ. მგელაძემ, კომიტეტის სხვა მუშაკებმა ილაპარაკეს სიძნელეებზე, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაობის გარდაქმნის პროცესში წარმოიქმნება.

აღნიშნა რა უდიდესი ყურადღება, რომელსაც პარტია უთმობს დღეს სურსათით მოსახლეობის მომარაგებას, ჯ. ი. პატიაშვილმა დამსწრეთ გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი, აგრარული პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი პლენუმის მიზნები. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი ეხება პარტიის საშინაო პოლიტიკის კარდინალურ მიმართულებას, მასთან დაკავშირებულ გარდაქმნის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს. ეს განაპირობებს პასუხისმგებლობას, რომელიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებს ეკისრებათ დარგში არსებული საქმის ვითარებისათვის.

აქ საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. არასახარბიელო მდგომარეობას აგროსამრეწველო კომპლექსში სულ უფრო მწვავედ გრძნობს მომხმარებელი. სასურსათო მაღაზიების დახლები ღარიბია, პროდუქტების ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია. სიძნელეები ამ დარგში მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია მართვის ძველი მეთოდებით, რომლებიც ჯერ კიდევ ნელა თმობენ პოზიციებს აგროსამრეწველო კომპლექსის სხვადასხვა დონეზე. ამიტომ ახლა უპირველესი ამოცანაა ნამდვილად გაეხსნას გზა ყოველივეს, რასაც ძალუძს სიტუაციის რადიკალური შეცვლა. ამასთან აუცილებელია სოფლის მშრომელთა ინტერესების უფრო სრულად გათვალისწინება, მათი გადაქცევა მიწის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონად, რათა საქმით გამოავლინონ თავიანთი უზარმაზარი პოტენციალი. დღეს ყველასათვის ცხადია: აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა წინანდელი მეთოდებით არ შეიძლება. მაგრამ როგორ ვიმოქმედოთ? ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგების შეფასებისას მდგომა მკაფიოდ ჩამოაყალიბა მ. ს. გორბაჩოვმა ქალაქ კიევის მშრომელებთან შეხვედრის დროს, სადაც მან აღნიშნა, რომ ჩვენ უაღრესად მომთხოვნი და თვითკრიტიკულნი უნდა ვიყოთ საკუთარი თავისადმი. ძალზე მნიშვნელოვანია არ შეგვიპყროს არც ეიფორიამ და არც პანიკამ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოსამზადებელ მუშაობაში აქტიურად ჩაება ჩვენი რესპუბლიკაც. პარტიის აგრარული პოლიტიკისადმი მიძღვნილი დისკუსიების დროს წარჩინებული მეწყობმოქმედებისა და მეეანიზატორების, წარმოების ნოვატორების, სასოფლო-სამეურნეო დარგის ხელმძღვანელების კონსტრუქციული შენიშვნები და რეკომენდაციები განზოგადდა. მათგან ყველაზე საგულისხმონი, ალბათ, აისახება პლენუმის მასალებში, მისი გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში.

რითი ხვდება რესპუბლიკის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი მომავალ პლენუმს? ჯანსაღ, უთუოდ ყოველმხრივ მხარდასაჭერ ტენდენციათა შორის უნდა აღინიშნოს სანარდო იჯარის ყველა ფორმის, სხვადასხვა სახის კოოპერატივების განვითარება. იქ, სადაც უკვე ფართოდ და გონივრულად იყენებენ საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის ამ ახალ ფორმებს, ისინი საგრძნობ დანამატს აძლევენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. ამავე დროს ფორმალურმა გადასვლამ პროგრესულ მეთოდებზე მხოლოდ იმისათვის, რომ „აღინიშნოს" ეს ამბავი, ცოტა რამ თუ გააუმჯობესა მეურნეობებისა და რეგიონების ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში. ზოგან თავიდან ვერ აიცილეს ადმინისტრაციული დიბრკოლებებიც სიახლის გავრცელების გზაზე. თავს იჩენს მუშაობის მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდების გამძლეობა, ზოგ-ზოგებს არ სურთ მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭონ ინიციატივიან, ენერგიულ ადამიანებს. ცხოვრებით ნაკარნახევი ბევრი სასარგებლო რამ გამოვლინდა, მაგრამ ყოველივე ამას ხელ-ფეხს უბორკავს მართვის დრომოჭმული ფორმები, რომლებსაც ჯერ კიდევ ებღაუჭება ბევრი ხელმძღვანელი და სპეციალისტი.

შეხვედრის მონაწილეთა აზრი ერთსულოვანი იყო — არავითარი სტერეოტიპები და დოგმები აღარ უნდა ეღობებოდეს სასურსათო პრობლემის გადაჭრას. მოსინჯვა, ძებნა, გაბედული წინსვლა — მხოლოდ ამის მეშვეობით მიიღწევა წარმატება. ამასთან სულაც არ არის სავალდებულო, რომ ყველანი იჯარის თუ არენდის ერთი და იგივე ფორმაზე გადადიოდეს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, ამბროლაურისა და ონის რაიონებში წარმოების ეფექტიანობას უზრუნველყოფს საკარმიდამო მეურნეობათა უპირატესი განვითარება. ლეტეხის რაიონში, აგრეთვე აჭარის მთელ რიგ რაიონებში საგრძნობ შედეგებს იძლევა ოჯახური იჯარის მეთოდით მუშაობა. მიდგომა აქ ასეთი უნდა იყოს: რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს მისთვის იჯარის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. ყველა ეფექტიანმა ფორმამ უნდა მიიღოს არსებობის სრული უფლება, ყველგან უნდა ემყარებოდნენ უცილობელ ჭეშმარიტებას — მიწას ნამდვილი პატრონი სჭირდება.

ამასთან დაკავშირებით გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება, რომელთა აზრი ის არის, რომ მშრომელ კაცს მიწის ნაკვეთი მიუჩინონ. რა ხნით — ამის განსაზღვრა ინდივიდუალურად შეიძლება. მაგრამ ყველა შემთხვევაში ვადა ხანგრძლივი უნდა იყოს, რათა კაცმა თავი ნამდვილ პატრონად იგრძნოს და შეეძლოს თავისი სურვილისამებრ მიწა შთამომავლებს გადასცეს. მაშინ დამოკიდებულებაც საზოგადოების ამ ფასდაუდებელი სიმდიდრისადმი პატივცემლური, პასუხისმგებლური იქნება.

პარტიის აგრარული პოლიტიკის მთავარი იდეა — მიწასთან ადამიანის დაბრუნება — უნდა დაედოს საფუძვლად რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურულ ცვლილებებს. როგორი უნდა იყოს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, როგორ უნდა მოეწყოს უფრო უკეთ მეურნეობის, არენდატორებისა და კოოპერატორების მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება, მმართველობის რამდენი მუშაკია საჭირო სხვადასხვა დონეზე, როგორ უნდა წარვმართოთ უფრო გონივრულად სოფლისათვის საჭირო კადრების მომზადება და გადამზადება? ამ და აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის საარსებო მნიშვნელობის სხვა საკითხების გარშემო გაიმართა ცხოველი დისკუსია. მაგრამ ერთ რამეში კი სჯა-ბაასის ყველა მონაწილე შეთანხმდა: მეურნეობრიობის სისტემის მთლიანობის დაურღვეველად უნდა მოხდეს მეცადინეობის კონცენტრირება პირველადი შრომელი, რგოლების საქმიანობის ეფექტიანობისათვის. ყოველმხრივ გაანალიზეს რა პარტიის ეკონომიკური რეფორმის რეალიზაციის მიმდინარეობა, შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რესპუბლიკაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, რომლის ფონზეც ხდება დღეს მისი განვითარება. აღინიშნა, რომ დემოკრატიზაციის გაღრმავების პროცესი ჩვენში არცთუ ისე ადვილად მიმდინარეობს. გაიზარდა მშრომელთა სოციალური აქტიურობა, ძლიერდება ინტერესი ყველაფრისადმი, რაც ჩვენს საზოგადოებაში, რესპუბლიკაში ხდება. ამავე დროს, არ ღირს სინდისლეთა დრამატიზება, მარტო ლოზუნგებით გადაჭრა ისეთი პრობლემებისა, რომლებიც საგულდაგულოდ, საფუძვლიან მუშაობას მოითხოვენ. საჭიროა მოვლენების მშვიდი, აწონ-დაწონილი და ობიექტური შეფასება. ეს, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებმა უნდა იკისრონ. ყოველი მათგანი თავის ადგილზე უნდა არწმუნებდეს ადამიანებს, რომ მხოლოდ საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციით შეეძლებთ ჩვენ ნამდვილი განახლების, ხალხის სულიერი თუ ფიზიკური ძალების აყვავების უზრუნველყოფას.

ჩვენი კულტურის შესანიშნავი საგანძურის ხვალინდელი დღისა და პერსპექტივისათვის ღრმა ზრუნვით იყო გამსჭვალული შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექტივთან. გამოჩენილი ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის მიერ 143 წლის წინათ დაარსებული ბიბლიოთეკა დღესაც წარმოადგენს ერის სულიერი მემკვიდრეობის საცავს. 16 მილიონზე მეტი გამოცემა ინახება მის ფონდებში და ბევრი ეროვნული ბიბლიოთეკა ვერ დაიკვეხნის ისეთ ფონოთეკას, სადაც თავმოყრილია 10 ათასზე მეტი სანოტო ერთეული და ათიათასამდენი ფირფიტა თუ გრამჩანაწერი.

მაგრამ წლითიწლობით სულ უფრო ძნელდება ამ უზარმაზარი მეურნეობის მოვლა. დროის მსახვრალმა ხელმა არ დაინდო საცავები, რომლებიც განლაგებულია როგორც თვით შენობაში, ისე დედაქალაქის გარეუბნებში — წყნეთში, დიღომში, ორხევში და ძველ ეკლესიებიც კი ამბიანის ქუჩაზე. შესანახად მოიწყობილ ამ სათავსებში გამოუსადეგარი ხდება ათობით წიგნი. ამიტომ ბიბლიოთეკის კოლექტივი ღრმა მადლიერებით და სიხარულით შეხვდა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ბიბლიოთეკას გადაეცეს მეზობლად მდებარე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ყოფილი შენობა.

ჯ. ი. პატიაშვილი გაეცნო ახალ ექსპოზიციებს, ახალ შენობაში, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სხვა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეების საარქივო ფონდებს, დიდ მეცნიერულ მუშაობას, რომელსაც ბიბლიოთეკის მუშაკები ეწევიან, მათ შორის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის ეკატერინე ჭავჭავაძის ფაქსიმილური ალბომის გამოცემის მოსამზადებლად, მზარი დაუჭირეს წინადადებას, რომ გაგრძელდეს ქართული პრესის ბიბლიოგრაფიის მრავალტომიანი გამოცემა.

ბიბლიოთეკაში ბევრი რამ კეთდება მუშაობის გარდასაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ იგი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, აქ გადაწყვიტეს მომსახურების ფასიანი სახეობების განვითარებაც, რომლებიც წინათ არ შედიოდნენ მოსახლეობისათვის გასაწევი მომსახურების ნუსხაში. დაიდგა ტექსტების პირგადასალები მოწყობილობა, ფართოვდება საამკინძაო და სარესტავრაციო განყოფილები, რომლებიც შეძლებენ მოსახლეობის შეკვეთებით მუშაობას, კოლექტივმა გარკვეული ეკონომია მიიღო ხელფასის ფონდის გადანაწილების, სექტორების გამსხვილების მეშვეობით. მიღებული სახსრები ხმარდება კეთილმოწყობას და სოციალურ სფეროს.

ჯ. ი. პატიაშვილმა პასუხი გასცა შეხვედრის მონაწილეთა მრავალრიცხოვან კითხვებს. მან დამსწრეთ აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად.

(საინფორმ).

სახალხო დეპუტატი

ᲦᲘᲛᲘᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲓᲐᲜ

ᲐᲘ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ეგ იყო: იმ გაწამაწიაში, კამათსა და შეხლა-შემოხლაში ერთ-ერთ გამარჯვებულად ქართველი ხელოვანიც დაასახელეს. ავიდა სცენაზე თმაურ ჩხეიძე და თავისებური, კეთილი ღიმილით გადაუხადა მადლობა დარბაზში მყოფთ.

სატელევიზიო პროგრამა „ვრემიას" ეს სიუჟეტი, ალბათ, ბევრმა ნახა გასულ კვირა საღამოს: იმ ათ დეპუტატს შორის, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თეატრის მოღვაწეთა კავშირს წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, დასახელებულია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სატელევიზიო თეატრის სამხატვრო

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

10-11 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტთა სახელმწიფო-სამართლებრივ განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელზეც განხილულ სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის განყოფილებათა მუშაობის აქტუალური საკითხები.

თათბირის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამართლებრივი პოლიტიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვ. მ. ჩებრიკოვი.

მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის ა. ს. პავლოვის მოხსენება.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმ ფართო წრის საკითხებზე, რომლებიც ეხება პარტიული მუშაობის გარდაქმნას, სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილებების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

თათბირზე აღინიშნა, რომ გარდაქმნის პროცესმა მოიცვა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. რადიკალური პოლიტიკური რეფორმის ფარგლებში იწყება საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტი. საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში დემოკრატიული, თვითმმართველობითი საწყისების დამკვიდრება სამართლებრივ საშუალებებს მეთაური როლს ანიჭებს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებაში. ამას. ხელს უწყობს სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის განხორციელება. მისი მიზანია სოციალიზმის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და ნამდვილად სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს აშენება.

სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი არსებითი მხარეა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება. ამასთან დაკავშირებით უნარადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყველა საბჭოთა კანონის განუხრელი შესრულების უზრუნველყოფისათვის გამიზნული ადმინისტრაციული და ორგანიზატორული მუშაობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არსებითად უნდა გაუჯობესდეს მოსახლეობის სამართლებრივი საყოველთაო სწავლების საქმე, ამაღლდეს სამართლებრივი კულტურა, სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილებების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

თათბირზე აღინიშნა, რომ გარდაქმნის პროცესმა მოიცვა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო. რადიკალური პოლიტიკური რეფორმის ფარგლებში იწყება საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტი. საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში დემოკრატიული, თვითმმართველობითი საწყისების დამკვიდრება სამართლებრივ საშუალებებს მეთაური როლს ანიჭებს საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებაში. ამას. ხელს უწყობს სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის განხორციელება. მისი მიზანია სოციალიზმის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და ნამდვილად სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოს აშენება.

სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი არსებითი მხარეა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება. ამასთან დაკავშირებით უნარადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყველა საბჭოთა კანონის განუხრელი შესრულების უზრუნველყოფისათვის გამიზნული ადმინისტრაციული და ორგანიზატორული მუშაობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არსებითად უნდა გაუჯობესდეს მოსახლეობის სამართლებრივი საყოველთაო სწავლების საქმე, ამაღლდეს სამართლებრივი კულტურა, სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილებების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში საჭიროა გაიზარდოს სამართლოს, პროკურატურის, მილიციის პასუხისმგებლობა და განმტკიცდეს მათი ავტორიტეტი. სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის გარდაქმნამ ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის თავიდან აცილების, აღკვეთისა და გამოვლენისათვის მათი მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერებას.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ სოციალიზმის პრინციპებზე საზოგადოების განახლების პროცესი დემოკრატიისა და საჯაროობის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საჭიროებს დისციპლინის, წესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცებას. გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ქვეყანაში გაიზარდა დამნაშავეობა, მათ შორის ორგანიზებული ფორმითაც. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე და აღინიშნა, რომ სისტლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციის პარტიისეული პოლიტიკა სულაც არ ნიშნავს მოდუნებას ამათ მიმართ, ვინც უგულებელყოფს საბჭოთა კანონების მოთხოვნებს, ბოროტად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, სჩადის მძიმე დანაშაულს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ, როცა ვლაპარაკობთ დამნაშავეთა მიმართ მართლსაჯულების ჰუმანიზმზე, არ უნდა გვავიწყდებოდეს ფიზიკური, მატერიალური და მორალური, ზოგჯერ აუნაზღაურებელი ზიანი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო მოქმედება აყენებს კონკრეტულ ადამიანებს და საერთოდ საზოგადოებას. თათბირზე შეეხნენ იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა სამართლებრივი დაცულობის გაძლიერების ღონისძიებანი.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება შესაძლებელია ამ ამოცანების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომის, მთელი პარტიული, საბჭოთა სამართალდაცვითი ორგანოების ძალების გაერთიანების საფუძველზე. უნდა გავაქტიუროთ სახალხო რაზმების მუშაობა, ვეძიოთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის ახალი ფორმები. პასუხსაგები ამოცანებია დასახული ბეჭდვითი სიტყვის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წინაშე სამართლებრივი რეფორმის, ახალი კანონმდებლობის შემუშავებაგამოყენების, სამართალდაცვითი მექანიზმის გარდაქმნის აქტუალური პრობლემების, საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლების პრობლემების გაშუქებაში.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მრავალი რთული პრობლემა დაკავშირებულია მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხებთან. სამართლებრივი პოლიტიკის ფორმირება ცენტრში და ადგილებზე უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი, ეროვნული და საერთო-საკავშირო ინტერესების, მათი გაფაფყოფელი ერთიანობის საფუძველზე. ამ‌ამად წარმოებს მუშაობა ამ საკითხების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების ფარგლებში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ წინადადებათა შესწავლისა და განზოგადებისათვის.

თავდაცვით-მასობრივი მუშაობის პრობლემების განხილვასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალი საბჭოთა თავდაცვითი დოქტრინის შესაბამისად არშიისა და ფლოტის გარდაქმნის განხორციელება არ აკნინებს ახალგაზრდობის წვევამდელი მომზადების მნიშვნელობას. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა უნდა მიიღონ მეცოდნე, ფიზიკურად მომზადებული შევსება. ამას მოითხოვს არმიისა და ფლოტის ტექნიკური აღჭურვის თანამედროვე დონე, ქვეყნის თავდაცვის ინტერესები. აღინიშნა, რომ შეიარაღებული ძალების გარდაქმნა, მათი ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევა შესაძლებელია მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით. საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო და კვლავ არის ხალხის პირმშო.

არმიაში სამსახური ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის, იდეური და ფიზიკური წრთობის სკოლაა.

საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო ინიციატივებთან და ბევრი სამხედრო მოსამსახურის თადარიგში დათხოვნასთან დაკავშირებით პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ მათი შრომითი და ყოფითი მოწყობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალისტ მეომრებს, მხედრული ვალის მოხდისა და ავღანეთის რესპუბლიკისათვის ინტერნაციონალური დახმარების გაწევის დროს დაღუპულთა მშობლებსა და ახლობლებს.

ახლთა გაზიარების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პარტიული მუშაობის, პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების გაზრდილი მებრძოლურობა, კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების, პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ორგანიზატორული მუშაობის თანამიმდევრული განხორციელება.

თათბირზე გამოვიდნენ: სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. კ. პუგო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ვ. ბაკატინი, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ბ. ვ. კრავცოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ა. ი. სუხარევი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ა. მოისეევი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. დ. ბობკოვი, სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგეები: ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — ვ. ი. ეფიმოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — ვ. გ. ბაქრაძე, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — ტ. ლ. დუშკევიჩი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — ნ. ხუვაიდულაევი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა — ვ. ფ. ჩერნიშევი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტისა — ვ. პ. სტრაშკო, სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტისა — ვ. ნ. გალკინი, სკკპ დღესტნის საოლქო კომიტეტისა — ვ. ა. ტიხონენკო, სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტისა — ა. პ. ზოზულია, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ი. ვიხრისტენკო, პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგე ვ. ზ. დუდიკი.

თათბირის მონაწილენი მოსკოვის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში გაეცნენ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის მოსკოვის მილიციის მუშაობის გამოცდილებას.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიაში

გაზაფხული სერიოზული ზრუნვის დრო

გაზაფხულმა თავისი კორექტივები შეიტანა სომხეთის რაიონების ცხოვრებაში, რომლებსაც თავს დაატყდათ დამანგრეველი მიწისძვრა. მარტისათვის განსაზღვრულ კონკრეტულ სამშენებლო პროგრამასთან ერთად ადგილებზე ოპერატიულად უნდა გადაწყდეს სხვა საკითხებიც. მათ შორის ისეთები, როგორიც არის სანიტარიული ვითარება უბედურების ზონაში, დაზარალებულ მეურნეობებში მინდვრის სამუშაოებისათვის მზადება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის 11 მარტს ერევანში გამართულ მორიგ სხდომაზე აღნიშნეს, თუ რაოდენ აქტუალურ და სერიოზულ გავლენას მოახდენს ეს აღსადგენი სამუშაოების მთელ მომდინარეობაზე. სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სილაევი.

კომისიამ ჯანმრთელობის დაცვის, სახაგრომრეწვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ადამიანებისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის, მათი ჯანმრთელობის დაცვის, სასაკეთო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების შენარჩუნებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებაში ნელა და შეუთანხმებლად მოქმედებენ. წინადადება წამოაყენეს გამკაცრდეს სანიტარიული ზედამხედველობის მოთხოვნები დროებით საცხოვრებელ ქალაქებში, ვაჭრობის ობიექტებში და საზოგადოებრივი კვების ადგილებში.

კომისიამ მოითხოვა ყველაზე მოკლე ვადებში უზრუნველყოს თითოეული დასახლებული პუნქტის სამედიცინო-სანიტარიული და სავეტერინარო გამოკვლევა, გაშალონ მოძრავი ამბანო-სამრეცხაო პუნქტების დამატებითი ქსელი, განახორციელონ იმ ადგილების დეზაქტივაცია, სადაც ზამთარში დაიმარხა პირუტყვი. შეაფასა რა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობა, კომისიამ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ტექნიკის რემონტის, სარწყავი ქსელის აღდგენის ტემპი, სათესლე ფონდის ხარისხი. ამ მხრივ ჩაბორჩებიან ამასის, გუკასიანის, ტალინის რაიონები. სომხეთის სახაგრომრეწვის მიზეზით ჭიანურდება ბელორუსიიდან კარტოფილის თესლის მოწოდება.

გადასაწყვეტი საკითხების გამო დავალება მიეცათ მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც კომისიის სხდომას ესწრებოდნენ. პოისმინეს კომისიის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. გ. არუთინიანი.

(საკდესი).



გარდაქმნის ფაცნაგები

სიკეთის წყარო

სიღნაღის რაიონში მეცხოველეთა პირველი საოჯახო რგოლი წნორის სახორცე მეცხოველეობის კომპლექსში შეიქმნა ამ ერთი წლის წინათ, როცა ზოოტექნიკოს დავით მჭედლიშვილის ოჯახმა გასასუქებლად 1200 მოზვერი გაიპიროვნა.

ახლა პირველი შედეგები შეჯამდა და, შეიძლება ითქვას, ყველა კმაყოფილი დარჩა. კომპლექსმა დიდძალი იაფფასიანი ხორცი მიიღო. დღეს ოჯახური რგოლი უკვე 2200 მოზვერს ასუქებს, თითოეულის სადღეღამისო წონამატება 600 გრამს აღწევს.

რგოლს საკუთარი ტექნიკა აყავს — 8 ტრაქტორი, 8 სილოსასაღები კომბაინი, 2 სათიბელა და სხვ. მოიჯარეებს სახელშეკრულებო საწყისებზე მექანიზატორები უდგანან მხარში, შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა.

ყველა დარწმუნდა, რომ შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა ხელსაყრელია კომპლექსისათვისაც და ოჯახისთვისაც.

სურათებზე: წლის შედეგებზე მსჯელობენ ავთანდილ ბერეკაშვილი, მიხეილ ტაბახმელაშვილი, ვეფხია სინჯიაშვილი; დღეს სასუქებელ მოედანზე თამაზ კვესაძე მორიგეობს.

საქინფორმის ფოტო.

საბჭოების მუშაობის პრაქტიკიდან

ყაირათიანობა გვმართებს

ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა მიწის კანონმდებლობის, საპასპორტო რეჟიმის, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაცვაში, რაც ხდება ყველა შემოწმებულ სოფლსაბჭოსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში. განსაკუთრებით ბევრი ნეგატიური მოვლენაა ახალოფლისა და ჭიკანის სოფლსაბჭოების ტერიტორიაზე, სადაც სისტემატურად ირღვევა მოქალაქეთა საჩერის წესი.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებამ საპასპორტო რეჟიმის დაახლოებით 300 დარღვევა გამოავლინა, რაიაღმასკომის ადმინისტრაციულმა კომისიამ კი შესაბამისი ღონისძიებანი განახორციელა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაობა ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

აღმაშფოთებელი დარღვევები გამოვლინდა ახალოფლის სოფლსაბჭოში. მაგალითად, სოფელ ტივში 12 ოჯახი ათ წელზე მეტია უკანონოდ ფლობს 1,47 ჰექტარ მიწას, სოფელ თბილისწყაროში კი 8 ოჯახს უკავია 0,78 ჰექტარი. მიწის კანონმდებლობა ირღვევა სოფელ ბაღლოჯიანის კოლმეურნეობის ტერიტორიაზეც. ანალოგიური ვითარებაა ჭიკაანის სოფლსაბჭოშიც, სადაც მიწის კანონმდებლობის დარღვევები და ნებადაურთველი მშენებლობა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. აქ კვლავ აღრიცხვაზე არიან ოჯახები, რომლებმაც უკვე დიდი ხანია დაკარგეს კავშირი სოფელთან.

ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა ნაკლოდ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია მუშაობა, რომელიც გასწიეს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამართალდაცვითი ორგანოების შესაბამისმა სამსახურებმა მიწის კანონმდებლობის დაცვისათვის. დამშვიდები. დარღვევებისათვის სასტიკი საყვედურები გამოუტანეს რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს: შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს ზ. ჯოხაძეს, მთავარ არქიტექტორს რ. მჭედლიშვილს, მთავარ მიწისმომწყობს გ. ტივიშვილს, ახალოფლისა და გავაზის სოფლსაბჭოების თავმჯდომარეებს გ. წინდაშვილს და ბ. ჭრელაშვილს, ახალოფლისა და ჭიკაანის სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნებს ნ. ხვთისიაშვილს და ე. ოიხმუსაშვილს, სოფლების ჭიკაანის, გავაზის და შილდის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს კ. გელაძეს, რ. სესიაშვილს და რ. კანტოროშვილს. მკაცრად დაისაჯნენ სხვა მუშაკებიც, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ სხდომაზე განხილული სფეროს საქმის ვითარებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, მეურნეობებს, აგროსამრეწველო გაერთიანებას, სამართალდაცვითს ორგანოებს და მიწათმოწყობის სამსახურებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ მიწის გამოყენებას, ინდივიდუალურ საცხოვრებელ მშენებლობებს და სპასპორტო რეჟიმის დაცვას. ხაზგასმულია, რომ ყოველ ნეგატიურ მოვლენას და ფაქტს უნდა მიეცეს პრინციპული შეფასება და, როგორც წესი, ჩამოერთვათ თვითნებურად მიტაცებული მიწები, დაინგრეს უკანონოდ აშენებული ნაგებობანი და საჭიროების შემთხვევაში ბრალეულნი მიეცნენ სამართალში.

აღმასკომის გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია ამ სფეროში საქმის ვითარების გაუჯობესებისათვის გამიზნული კონკრეტული ღონისძიებანი, აგრეთვე მათი რეალიზაციის ვადები შესრულების შემდგომი შემოწმებით.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ჯერ წარსულს შევეხმიანოთ

გადავიხედოთ ჩვენი ცხოვრების წარსულში. ორმოცორმოცდაათი წლის ასაკიდან ბავშვობის წლებს შევეხმიანოთ. იყო დრო გაჭირვებისა, სიცივისა, შიმშილისა, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ნაკლებობისა. ვისთვის როგორ, მაგრამ ახლა რომ დავფიქრდები, თურმე იმ პერიოდს ჭქონდა ერთი მომხიბვლელობა, რომლის დაკარგვაც ახლა სინანულსა და გულისტკივილს გვგვრის.

საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტი მთა-გორები და ხეობებია. დანარჩენი — ვაკე და დაბლობი. ცხოვრება, საარსებო სახსარი მთასაც სჭირდებოდა. ქვეყნის სატკივარი ხომ მასაც აწუხებდა, მაგრამ, კერაზე კვაღლი ადიოდა, ჯავშვებით დაბმული ბობარა ნაგაზები მჭექარე ყეფით ეხმიანებოდნენ ოროობეში მიმავალ უცხო მხედრებს, ბალღების ძახილ-ხივილი ახმიანებდა სოფელს, ბერიკაცები დარბაისლურად ჩამოსხდებოდნენ საფიხეზზე. ერთ რამედ ღირდა მაშინდელი სოფლების სადამო, ოროობებში საძოვრებიდან ჩამობრუნებული ცხვარ-ძროხა არ ეტეოდა.

სოფელი თავისი წესითა და რიგით ცხოვრობდა. იყო კოლმეურნეობა, პატარა, ღარიბი, არც სათანადო ტექნიკა ჰქონდათ, მაგრამ ყოველ სოფელში იყო 100-200 ფული ხარი. განა ეს არ იყო სიმდიდრე და ძალა სოფლისა? იხვნებოდა ყოველი კუთხე-კუნჭული, მოჰყავდათ „პური არსობისა“.

მერე ყველაფერი უკუღმა მას შემდეგ წავიდა, რაც საზოგადოებრივი მეურნეობების გამსხვილება დაიწყეს და პატარ-პატარა კოლმეურნეობები გააუქმეს. ჩვენი აზრით, ეს იყო დიდი შეცდომა პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, ეროვნულზე რომ არაფერი ვთქვათ.

ხალხს თითქოს საქმე გამოაცალეს ხელიდან, შუბლიერ ფუძეზე გული აუცარეს. მთაც ქვემოთ, ბარისკენ გამოიწია.

უგზოობით გაწამებულნი გზის პირას სახლდებოდნენ. მთიან ადგილებში ნასოფლარები რჩებოდა. ერთი კარგი ქართველი მწერალსა არ იყოს, ნასოფლარები მიტოვებულ სასაფლაოებს დაემსგავსა. სასაფლაოს სიჩუმე უხდება და ასეთმა მდუმარობამ დაისადგურა ათასობით ქართულ ნასოფლარში. სახნავ-სათესი ბუჩქნარებმა დაფარა. ჩვენი ნებით დავკარგეთ საცხოვრებელი ადგილები. ახლა ბარი ველარ გვიტევს და დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ. სახნავ-სათესი თვალდათვალ გვაკლდება. სადღა ავაშენოთ სახლები? ეს კითხვა დღეს მთელ საქართველოს აწუხებს. ეს პრობლემა მთელი სიმწვავით დგას ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონების წინაშეც. ახლა ვამკვიდრებთ სოციალისტური შრომის ახალ ფორმას — სანარდო იჯარას. თითოეულმა გლეხმა მხოლოდ ერთი ჰექტარი ვენახი ან მინდორი რომ აიღოს დასამუშავებლად, ფართობი არც გვეყოფა. აი, რისთვის დაგვჭირდა იმ უსიამოვნო დროის გახსენება, როცა სოფლები ნასოფლარებად იქცა. მკითხველმაც გვაპატიოს, რამეთუ ამ შემთხვევაში პირველმთქმელები არ ვყოფილვართ. ზესტაფონი და მაიაკოვსკი ვახსენეთ. ამ ორ რაიონსაც სტკივა ძველი ჭრილობები. ხოლო მათი სოფლის მეურნეობის ეკონომიკა მართლაც მოითხოვს რადიკალურ გარდაქმნას.

რას გვიამბობენ ციფრები

თუ რომ ზესტაფონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მარშან სულ 9 მილიონ 222 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია შეიქმნა. ამისათვის კი წელიწადში სოფლის მეურნეობის მუშაკებზე შრომის ასანაზღაურებლად 6 მილიონ 928 ათასი მანეთი გაიცა. რა გამოდის? წლიდან წლამდე 20 საზოგადოებრივი მეურნეობა 3 მილიონი მანეთისათვის მუშაობს?

მაიაკოვსკის რაიონის ყველაზე „ძლიერი“ ვარციხის საბჭოთა მეურნეობა წელიწადში სულ 740 ათასი მანეთის პროდუქციას აწარმოებს.

ზეგნის კოლმეურნეობა 100 ათასი მანეთის სურსათს იძლევა. ამ კოლმეურნეობის სოფლის შრომელებმა გასამრჯელოდ 90 ათასი მანეთი მიიღეს. გამოდის, რომ წლიდან წლამდე მთელი სოფელი ათი ათასი მანეთისთვის მუშაობს.

საქმეში ჩაუხედავმა კაცმა გულუბრყვილოდ რომ არ იფიქროს, ალბათ დიდი ხელფასები აქვთო, ვეტყვით, რომ მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კაცის წლიური ხელფასი 1026 მანეთია, ანუ თვეში 85 მანეთი. წელიწადში საშუალოდ 813 მანეთს იღებს ზესტაფონელი გლეხი. თვეში სულ — 67 მანეთს.

ამ ციფრებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ზესტაფონელები თუ მაიაკოვსკელები მოწადინებულნი მუშაობენ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში. ეს ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც ეტყობათ და ამაზე გამოწვლილვითი ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ ორივე რაიონში შემცირდა ყურძნის ჰექტარობრივი მოსავლიანობა, გაძვირდა საქონლის ხორცის წარმოება.

საქმეს ვნებს არაკომპეტენტურობა

ხშირად ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ მიწას დაუდევრად, უყაირათოდ ვექცევით. გაუთავებელმა რეფორმებმა ვლეს გული გუტეხა. ყოველ სიახლეს ექვით უყურებს, თვალი სხვა საუშაოზე გაურბის და ასე, თანდათანობით, ჩვენს თვალწინ მიწის მშრომელი თავის სახეს კარგავს.

არაკომპეტენტური ხელმძღვანელიც ხომ ანგრევს და ასამარებს ქვეყნის საქმეს.

ვესაუბრებით ზესტაფონის რაიონის პირველი სვირის სანერგე მეურნეობის დირექტორს ამირან კაკაურიძეს:

— თქვენი მეურნეობის სახელწოდება თავისთავად მიგვანიშნებს მის პროფილზე, ალბათ ვაზის ნერგი გამოგყავთ. როგორი იყო მისი გამოსავლიანობა?

— ვერაფერს გეტყვით. შარშან ნაადრევად მოთოვა და ნერგს ალბათ გაზაფხულზე ამოვიღებთ. (?!).

— რამდენი მანეთის პროდუქცია შექმნილი შარშან?

— არ ვიცი.

— იქნებ ის გაიხსენოთ, რამდენი მანეთისა უნდა გეწარმოებინათ?

(კითხვა უპასუხოდ დარჩა).

— რა დაგიჯდათ გეგმით ცენტნერი ყურძენი?

(ისევ დუმილი).

— რამდენი ტონა ხორცი აწარმოვეთ შარშან?

— 50 ტონა.

— წარმოუდგენელია, ალბათ გეშლებათ...

— 50 ტონა მოსახლეობასთან ერთად... — იხტიბარს არ იტეხს დირექტორი.

— მესმის თქვენი, მაგრამ 50 ტონა მაინც ფრიად საეჭვოა.

აქამდე ჩუმად ისმენდა ჩვენს საუბარს ზესტაფონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე არჩილ ჭანკოტაძე, მერე უხერხული დუმილი დაარღვია — თურმე პირველი სვირის საბჭოთა მეურნეობაში მოსახლეობასთან ერთად 18 ტონა ხორცი უნდა აწარმოებინათ. ამ საქმეს ორი ტონა და 700 კილოგრამი დააკლეს.

— ცენტნერი ხორცის წარმოებაზე რამდენი მანეთი დაგეხარჯოთ?

— იცით რა? ციფრებს საერთოდ ვერ ვიხსომებ... ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

სიამოვნებით ვისმენდით იგივე პირველი სვირის მეძროხეობის ფერმის სანარდო იჯარის ხელმძღვანელის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის დავით სალაძის საუბარს იმის შესახებ, თუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით როგორ გაორმაგდა წველადობა, მაგრამ დღესდღეობით პროდუქცია მაინც ძვირი უჯდებათ. მეურნეობის მიერ დამზადებულ საკვებს ხმარობენ და იმიტომ. წლეულს ჩვენ თვითონ, სანარდო იჯარის წევრებმა უნდა ვიზრუნოთ საკვებისათვის, 80 ჰექტარზე დავთესავთ საკვებ კულტურებს და თუ ჰექტარობრივი მოსავლიანობა გავზარდეთ, მერე დაგვიჯდება რძე და ხორცი იაფი და შრომის გასამრჯელოც კარგი გვექნება, გვითხრა დასასრულ დავით სალაძემ.

პირველი სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობაში საერთოდ ძალიან დაბალია შრომის ანაზღაურება. აქაური მუშის საშუალო თვიური ხელფასი დაახლოებით 65 მანეთია.

მაიაკოვსკელი მშრომელებიც სანარდო იჯარის დანერგვაში ხედავენ სოფლის ეკონომიკის აღმავლობის გზას, მაგრამ ყოველთვის როდი ახერხებენ, რომ სანარდო იჯარას ქკვიანი და გამოცდილი მეურნე ჩაუყენონ სათავეში.

ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ვართ. აქ შარშან გადავიდნენ შრომის პროგრესულ ფორმაზეო, გვითხრეს.

ვესაუბრებით სანარდო იჯარის ხელმძღვანელს ზურაბ ფაღურიძეს.

— როგორი შედეგებით დაამთავრეთ შარშანდელი წელიწადი?

— მე ორი კვირაა, რაც ამ ფერმაში მოვედი.

— როგორი წველადობა გქონდათ იანვრის თვეში?

— ხომ გითხარით, ორი კვირაა, რაც მოვედი.

რაღა დაგვრჩენოდა. მოვიკითხეთ სანარდო იჯარის სხვა წევრები. მოვიდნენ ზურაბ მახათაძე და გურჯაან ნატრიაშვილი.

— როდესაც სანარდო იჯარა შეიქმნა, ალბათ მეურნეობის დირექციასთან გაიფორმეთ ხელშეკრულება, რა სახის დახმარება უნდა გაგიწიოთ ხელმძღვანელობამ და რა გეკალებათ თქვენ?

— ჩვენ ხელშეკრულება არ გვინახავსო, — იყო პასუხი.

— აბა, რა ხელშეკრულებაა, თუ არც იქითა მხარის პირობები იცით და არც თქვენი ვალდებულებები?

ჩვენ ორი კვირაა რაც მუშაობა დავიწყეთო, უკვე ნახმარი ეს ფრაზა სანარდო იჯარის სხვა წევრებმაც გაიმეორეს.

— ამ ორ კვირაში რამდენი კილოგრამი რძე ჩამოწველეთ, ვერც იმას გვეტყვით?

ისევ დუმილი. მერე საუბარში მაიაკოვსკის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე რომან მაღლაკელიძე ჩაერთო.

— ფერმაში 72 სული შავ-ჭრელი და ადგილობრივი ჯიშის მეწველი ფურია. უწინ 11 ადამიანი მუშაობდა, დღეს იგივე საქმეს 7 მეცხოველე ასრულებს. ამ ფერმაში ერთი ძროხა წელიწადში 2200 ლიტრს იწველდა. სანარდო იჯარამ ეს მაჩვენებელი 2 640 ლიტრამდე გაზარდა. საგულისხმოა, რომ აქ მოწველილი რძის 95 პროცენტი ყოველთვის პირველი ხარისხისა იყო.

— სად წავიდნენ ძველი მოიჯარენი, ისინი, ვინც ფერმის საქმე წინ წასწიეს? — ვკითხეთ აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს.

— მეურნეობის დირექტორმა ნოდარ ბებიაშვილმა ყველან

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ 10 მარტს გართიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ხავიერ პერეს დე კუელარს, ავღანეთის შეერთებული შტატებს, როგორც ევენევის შეთანხმებათა გარანტებს, გაუგზავნა მიმართვები ავღანეთის სამნიო საქმეებში გარეთ ჩარევის ესკალაციის შესახებ, რასაც შეიძლება მოჰყვეს ბოლო სისტლისღვრის გაძლიერება თვით ავღანეთში, არამედ დაძაბულობის ზრდაც რეგიონალური და საერთაშორისო მასშტაბით.

ამ მიმართვებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

დაახლოებით ერთი თვე გავიდა ამ დღიდან, რაც დამთავრდა საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან. მათი გამოყვანა განხორციელდა ავღანეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებებით განსაზღვრული ვადებისა და გრაფიკის ზუსტი შესაბამისობით, საბჭოთა კავშირის ერთგულება ამ შეთანხმებებთან ნაკისრი ვალდებულებებისადმი დიდად შეაფასეს საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

თითქოსდა ახლა ავღანეთის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობისთვისაც და ოპოზიციისთვისაც შეიქმნა ყველა შესაძლებლობა, რათა ავღანეთის ვითარების მოწესრიგება გადაეყვანათ მშვიდობიან რელსებზე, შეემუშავებინათ ურთიერთმისაღები კომპრომისები და პოლიტიკური გადაწყვეტანი ავღანეთში უთანხმოებათა დაძლევის მიზნით. მაგრამ მანც დაძაბული სიტუაცია ავღანეთში არათუ არ ნელდება, პირიქით სულ უფრო იზრდება. უმიზნო ქმათამკვლელი ომი ავღანელების ავღანელთა წინააღმდეგ მძაფრდება, სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენს.

ამრიგად, სავსებით ცხადია, რომ სისხლისღვრის მიზეზი სულაც არ ყოფილა იქ საბჭოთა სამხედრო ნაწილების ყოფნა, როგორც ამას წარმოადგენდნენ ისინი, ვინც ცდილობდა ამგვარად მიეჩქმალა თავისი საძრახისი როლი ავღანეთში სიტუაციის გამწვავებაში. მიზეზები იყო და არის. ევენევის რაზმების რიგებში ბევრია გადაცემული პაკისტანელი ოფიცერი. პაკისტანის განსაკუთრებით აქტიური პირდაპირი სამხედრო ყოფნა შეიმჩნევა ჯელალაბადის რაიონში, რომლის ხელში ჩაგდებას ავღანეთის ოპოზიცია უკავშირებს იქ თავისი „გარდამავალი მთავრობის“ განლაგების ამბიციურ გეგმებს. მარტო თორხამჯელალაბადის გზაზე ოპერაციებში მონაწილეობს 500-ზე მეტი პაკისტანელი ტერიტორიული ჯარებიდან (ეგრეთ წოდებული „მალიშები“). 800 „მალიში“ ჩამოვიდა ავღანეთის დასახლებული პუნქტის ღაზიაბადის რაიონში. პაკისტანის არმიის ვერტმფრინავებს აქ მოაქვთ ტყვია-წამალი და იარაღი. ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს. პაკისტანთან დაკავშირებით შეიარაღებული რაზმების სამხედრო. აქტიურობა მიმართულია საბჭოთა ტერიტორიის წინააღმდეგაც. ზუსტად ამ დღეებში ავღანეთთან სასაზღვრო ტაჯიკეთის სსრ რაიონში ცეცხლი დაუშინეს საბჭოთა მესაზღვრეთა რაზმს.

საბჭოთა კავშირი, როგორც ჟენევის შეთანხმებათა ერთ-ერთი გარანტი, გულგრილად ვერ მოეკიდება და თვალს ვერ აარიდებს ცდებს უგულებელყონ ეს შეთანხმებანი, იმას, რომ ერთ-ერთი მისი მონაწილე აშკარა აგრესიას განიცდის. ამასთან დაკავშირებით მოვუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომლის ეგიდით დაიდო ჟენევის შეთანხმებანი, აგრეთვე შეერთებულ შტატებს, რომელმაც ხელი მოაწერა საერთაშორისო გარანტიებს შესახებ დეკლარაციას, განახორციელონ ყველაზე გადაუდებელი და ქმედითი ღონისძიებანი, რათა ბოლო მოეღოს უცხოეთის ინტერვენციას ავღანეთში და ამრიგად შესრულდეს ჟენევის შეთანხმებანი სრული მოცულობით. დროა, ბოლამდაბოლოს, ავღანელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა მოიპოვოს სიმშვიდე, ბოლო მოეღოს სისხლისღვრას, დაუბრუნდეს ალბ[illegible]ს შრომას, იცხოვროს თავის[illegible] ტრადიციებისა და ჩვეულებების შესაბამისად, მშვიდობითა და მეგობრობით თავის მეზობლებთან.

საბჭოთა კავშირი, თანამემდევრულად იღებს რა ავღანეთის საშინაო ვითარების მოწესრიგებისათვის პოლიტიკური მოლაპარაკების მეშვეობით, გადაჭრით გმობს პაკისტანისა და მასთან დაკავშირებული „შვიდთა ალიანსის“ მოქმედებას, რომლის მიზანია შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღება ავღანეთში, და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ, როგორც ჟენევის შეთანხმებათა ერთგული, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ისინი ნამდვილად განხორციელდეს, შეასრულებს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ორმხრივი ხელმეკრულებებით ნაკისრ თავის ვალდებულებებს, რომელთა მიზანია გარედან ხელყოფისაგან ავღანეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვა.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა მტკიცედ უსვამს ხაზს, რომ მთელი პასუხისმგებლობა ავღანეთში ომის განგრძობის შესაძლო ძმიმე შედეგებისათვის ეკისრებათ იმათ, ვინც თავისი არაშორსმჭვრეტელური და არარეალისტური პოლიტიკით ხელს უწყობს ავღანელთა შორის შუღლის განგრძობას, ისახავს ექსპანსიონისტურ მიზნებს მეზობელი ქვეყნის მიმართ.

მთავარი რეზერვი — ეკონომია

ფართო კომპლექსის ღონისძიებანი უნდა განახორციელონ საქართველოს ენერგეტიკოსებმა, რათა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში. სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მეორე ენერგობლოკის გაჩერების შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება კიდევ უფრო შემცირდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხებს მიეძღვნა, საქენერგოს წინადადება მისცეს შეუდგეს შესაბამისი კონკრეტული პროგრამის რეალიზაციას.

სათანადო ენერგეტიკული ბალანსის დაცვა და ამასთან დაკავშირებული ყველა სახალხო-სამეურნეო დარგის წარმატებული განვითარება დამოკიდებულია არა მარტო მთავრობის ორგანოების გადაწყვეტილებებზე, არამედ ელექტროენერგიის თითოეულ რიგით მომხმარებელზე. მაგრამ, ბოლო დროს ენერგოზედამხედველობის მიერ მოწყობილი შემოწმებანი უწინდებურად ავლენენ აარიათიანობის წესების დარღვევის მრავალ შემთხვევას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, რომ დამრღვევთა შორის არიან ისეთი ენერგოტევადი საწარმოები, როგორიც არის თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“, თბილისის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობისა და ელექტროგაზომემკეთებელი ქარხნები.

თათბირზე დაისახა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების სტაბილური უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

◆ ავღანეთი

ნაჯიბულას წერილი

ქაბული. ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიას ქაბულში გადასცა ოთხი ნოტა, რომლებშიც მოყვანილია პაკისტანის მიერ ეენევის შეთანხმებათა დარღვევის ახალი ფაქტები.

ავღანეთის პრეზიდენტმა ნაჯიბულამ წერილი გაუგზავნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს რაჯივ განდის, რომელშიც გააცნო რეგიონში მოვლენების სამში განვითარება, რაც გამოწვეულია პაკისტანის პირდაპირი შეიარაღებული ჩარევით ავღანეთის სამინაო საქმეებში. დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას გამოიყენონ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი და პოლიტიკური პრესტიჟი რეგიონში დაძაბულობის შემდგომი გამწვავების თავიდან აცილების მიზნით.

● **დელი.** პაკისტანის ჩარევა ავღანეთის საქმეებში სულ უფრო სახიფათო მასშტაბს იძენს, წერს ინდური გაზეთი „პეტრიოტ“.

როგორც გაზეთისთვის ცნობილი გახდა, ამას წინათ ავღანეთის კუნარის პროვინციის ფარულად ეწვია პაკისტანის საუწყებათშორისო დაზვერვის სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. ჰამიდი. ეს ისლამაბადელი გენერლების პირველი ვიზიტი არ არის ავღანეთის ტერიტორიაზე.

პაკისტანის ჩარევა სახიფათოა სამხრეთ აზიის მთელი რეგიონისათვის. ინდოეთი თვალს ვერ დახუჭავს ამაზე, წერს „პეტრიოტ“.

● **პაკისტანი**

გააფთრებული შეტაკებანი

ისლამაბადი. პაკისტანის უდიდესი ქალაქი კარაჩი კვლავ იქცა რელიგიურ-თემობრივ ნიადაგზე გაფაფრებულ შეტაკებათა ადგილად.

ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა ექსტრემისტებმა შაბათს პროვოკაციულად გამოიწვიეს სროლა ადგილობრივი უნივერსიტეტის სტუდენტებში. ამის შედეგად 5 კაცი დაიღუპა და შვიდი დაიჭრა. კვირას ვითარება ქალაქში მთლიანად მშვიდი იყო. მაგრამ, კარაჩის ცენტრალურ ქუჩებს, უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინებს კვლავ პატრულობენ არმიის ქვედანაყოფები. მოქმედებს კომენდანტის საათი.

● **ალჟირი**

გაიმართა პირველი ეროვნული

ვარშავა. აქ გაიმართა პოლონეთში მუდმივად მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეების საზოგადოების პირველი ყრილობა. იგი ამგვარი პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც ოფიციალურად არის რეგისტრირებული და მოქმედებს სოციალისტურ ქვეყნებში.

ამეკამად პოლონეთში მუდმივად ცხოვრობს 11,5 ათასამდე სსრ კავშირის მოქალაქე. მათი დიდი უმრავლესობა ქალება, რომლებიც პოლონელებს გაყვნენ ცოლად და საცხოვრებლად ქმრებთან გადავიდნენ. ბევრია ხანშიშესული ადამიანი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტებმა იძულებითი მუშაობისათვის გერმანიაში გარეკეს, ხოლო განთავისუფლების შემდეგ ოჯახები პოლონეთში შემქნეს. ყრილობის თითქმის 100 დელეგატს შორის არიან აგრეთვე ომის ვეტერანები, რომლებიც საბჭოთა არმიის და პოლონეთის არმიის რიგებში იბრძოდნენ. საბჭოთა მოქალაქეები შრომობენ რესპუბლიკის საწარმოებსა და სოფლის მეურნეობაში. ბევრი ასწავლის რუსულ ენას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, არიან აგრეთვე ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები.

◆ **სალვადორი**

გამოძიებამ დაამტკიცა

პარიზი. სალვადორის არმიამ ცნო თავისი პასუხისმგებლობა 10 გლეხის დაღუპვისათვის, რომლებიც. დახოცეს მთავრობის ჯარებმა ამ ცენტრალური ამერიკის ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე სანვინენტეტის დეპარტამენტში. კვირას გამოქვეყნებულ სალვადორის არმიის პრესსამსახურის კომუნიკეში ამ დანშაულის გამო პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება ოპერაციის ხელმძღვანელს მეხუთე ქვეითი ბრიგადის რჩეული ბატალიონის მეთაურს. არმიის სადრლობის მიერ მოწყობილმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ პარტიზანებთან კავშირის ეჭვით გლეხები დახოცეს მთავრობის ჯარების ჯარისკაცებმა.

● **პოლონეთი**

ტერორის მსხვერპლნი

ლიმა. მიმდინარე წლის თებერვალში 336 კაცი დაღუპა პერუში ტერორისტული აქციების შედეგად. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველ ტერორისტთა მსხვერპლი ხდებოდა 11 პერუელი. ასეთ მონაცემებს შეიცავს აქ გამოქვეყნებული ტერორისტული საქმიანობის გამოძიების კომისიის ყოველთვიური მოხსენება. ამ კომისიას მეთაურობს სენატორი მემარცხენე ძალების ერთიანობის კოალიციისაგან ენრიკე ბერნალესი.

● **გფრ**

რა ცხადყო არჩევნებმა

ბონი. გამანადგურებელი მარცხი განიცადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი კოალიციის წამყვანმა პარტიამ — ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა ჰესენის მხარეში გამართულ კომუნალურ არჩევნებში.

წინასწარი მონაცემებით, დასავლეთ გერმანიის ამ ერთ-ერთ უდიდეს მხარეში ქრისტიანმა დემოკრატებმა დაკარგეს რვა პროცენტამდე ხმები და მოგაროვეს 33 პროცენტზე ოდნავ მეტი. ქრისტიან დემოკრატთა პარტნორობამ მმართველ კოალიციაში — თავისუფალმა დემოკრატებმა გაიმეორეს წინანდელი შედეგი — 5,4 პროცენტი. არსებით წარმატებას მიაღწია ოპოზიციურმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 45,4 პროცენტმა. ახალი მომხრეები შეიძინა აგრეთვე „მწვანეთა“ პარტიამ, რომელმაც მიიღო ხმების 9,7 პროცენტი. დასავლეთ გერმანიის პროგრესული საზოგადოებრიობის სეროზული შეშფოთება გამოიწვია ნეოფაშისტური ნაციონალ-დემოკრატიის პარტიის წარმატებამ, რომელმაც ხმების 7,5 პროცენტი მოაგროვა.

თავიანთ წარმატებას ნეოფაშისტები უხდა უმადლოდნენ ძხარის პრემიერ-მინისტრს ვალტერ ვალმანს (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი), რომელიც აქეზებდა მემარჯვენე რადიკალურ ძალთა მიერ გაჩაღებულ კამპანიას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უცხოელთა „მოძალების“ წინააღმდეგ. თუმცა მისი ვარაუდი, რომ ძხარს დაუჭერდნენ მემარჯვენე ძალები, არ გამართლდა, გაცხადდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჰანს კროლმანმა.

ეკოლოგია

იტალიაში ყოფნისას მაქსიმ გორკი თავად შეესწრო დიდ მიწისძვრას, რომელიც 1908 წელს მოხდა კალაბრიაში (სიცილია). იგი მისთვის ჩვეული ოსტატობით აღწერს ამ სურათს: „დედაბიწა ტალავს, ვით ზღვა, და თავის მკერდიდან იგლეჯს სასახლეებს, ქოხებს, ტაძრებს, ყაზარმებს, საპყრობილეებს, სკოლებს. ყოველი რუკეთი ასობით და ათასობით სპობს ქალებს, ბავშვებს, მდიდრებს და ღარიბებს, წერა-კითხვის უცოდინართ და სწავლულებს, მორწმუნეთ და ეჭვწაწყნართ“... ეს დახასიათება გამოდგება ყოველი მიწისძვრისადმი, რომელსაც დამანგრეველი ასპექტი აქვს.

მიწისძვრები მთაგორიან (ახალგაზრდა წარმოშობის) ადგილებში ხდება მეტწილად, ეკავზე ეი შედარებით იშვიათი შემთხვევაა. მთიან რაიონებში მიწისძვრები არა მარტო ხშირი, შეუდარებლად ძლიერიცაა.

საქართველოს ისტორიულ წყაროებში მრავალი ცნობაა შემონახული იმ მიწისძვრათა შესახებ, რომელთაც ცოტა მსხვერპლი როდი მოჰყოლია. 1088 წელს ატასტროფული მიწისძვრა მომხდარა ჯავახეთში, რომლის შედეგად თმოგვიც დანგრეულა. აი, როგორ აღწერს ამას შემატიანე: „უფალმან შეძრა ქვეყანა საფუძველთაგან ესოდენ სასტიკად, [illegible]ოდრმდის მთანი მაღალნი და [illegible]ოდენი მყარნი სახედ მტეერისა [illegible]ოიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, უკლესიანი დაიცეს, სახლნი დაიფქუნეს და დარღუეს და ფქნეს საფლავ მას [illegible]ინა მკვდართა, რომელთა თანა [illegible]ოგვიცა დაიქცა და დაიღუპა [illegible]ეშე კახაბერიძე ნიანისა ცოლითურთ“. (ივ. ჯავახიშვილი, საქართველო ერის ისტორია, წიგნი II, 1948 წ.).

მიწისძვრის წინასწარმეტყველებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს ურთულესი პრობლემა მოითხოვს სტიქიის ადგილს, სიმძლავრისა და დროის განსაზღვრას. პირველ ორ საკითხვაზე მეცნიერებს მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხი მოეპოვება. სწორედ ამას ემსახურება სეისმური დარაიონება და სათანადო რუკების შედგენა. ამ რუკებს, გარდა თეორიულისა, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაც აქვს, რადგან მათ საფუძველზე ხდება ნაგებობათა სეისმომედეგობის დადგენა. ნაგებობა დაპროექტებისას გათვალ[illegible]წინებელია ადგილმდებარეობის ბალიანობა. თუ ეს კარგად დაიღოდა, ნაგებობა მიწისძვრას ვერ გაუძლებს.

სეისმურ მოვლენებზე ინსტრუმენტული დაკვირვებები მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. მოიზედავად ამისა, მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევებია ჩატარებული ამ დარგში, რასაც უშუალო კავშირი აქვს მეცნიერებისა და ტექნიკის [illegible]ოფ განვითარებასთან. დღეს [illegible]ოფლიში ათასობით სეისმური [illegible] სადგურია, მრავალ ქვეყანაში შექმნილია საგანგებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები [illegible] ლაბორატორიები, სადაც მიწისძვრის მოვლენებს სწავლობენ და ეძებენ კიდეც გზებს ამ [illegible]ბანე სტიქიის შესაცნობად, [illegible]ათა რაც შეიძლება ნაკლები [illegible]ოვნს მსხვერპლი თუ ზარალი.

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ, [illegible]ახლოდობრ ენგურჰესის წყალსაცავისა და მისი მიმდებარე რაიონების სეისმურობის საკითხი [illegible] დავინტერესდეთ და, თვით [illegible]ეისმურ რეჟიმზე ენგურის წყალსაცავის გავლენაც აქვე განვიხილოთ.

ჩვენს მიერ მოყვანილი მრავალ[illegible] დასკვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი სეისმოლოგიისა და სეისმოძიებების განყოფილებების უკანასკნელი 15-17 წლის ექსპერიმენტუ[illegible]ვლევის შედეგებს ეყრდნობ[illegible] გამოყენებულია აგრეთვე [illegible]ადო ლიტერატურული წყაროები, რომლებსაც, თავის [illegible]ბრივ, საფუძველად უძევს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების სეისმურად აქტიურ რაიონებში მაღლივი კაშხლების ტერიტორიებზე სეისმოლოგიური და სხვა გეოფიზიკური დაკვირვებანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დარაიონების რუკას (cp — 78), რომელიც დღესაც ნორმატიულ დოკუმენტად ითვლება, საფუძვლად უძევს 70-იანი წლების პირველ ნახევრამდე მოპოვებული დაკვირვებითი მასალა. ამასთან, იგი შედგენილია იმავე სამოცდაათიანი წლების დამდეგის მეთოდოლოგიით. ბოლო ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად განვითარდა სეისმური საშიშროების შეფასების მეთოდები. მაწისძვრის პროგნოზის პრობლემასთან დაკავშირებით წარმოებულმა დიდი მოცულობის სეისმურმა გამოკვლევებმა გააფართოვა და უფრო სარწმუნო გახადა ჩვენი ცოდნა მიწისძვრის ჰიპოცენტრის ჩასახვასა და განვითარებაზე. ყოველივე ამის შედეგად კი, ცხადია, შეიცვალა ჩვენი წარმოდგენებიც ზოგიერთი რეგიონის სეისმურობაზე.

50-იან წლებამდე, როცა ტერიტორიის სეისმური დარაიონებისას, ძირითადად, სეისმოსტატისტიკას ემყარებოდნენ, დასავლეთ კავკასია, (ალმოსავლეთ კავკასიასა და ჯავახეთის ზეგანთან ერთად) სეისმურად ნაკლებ აქტიურ ზონად ყოფილა მიჩნეული. ეს წარმოდგენებიც მკვეთრად შეიცვალა, ერთი მხრივ, იმ დიდი სეისმური აქტიურობის გამო, რომელმაც თავი იჩინა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან და, მეორე მხრივ, იმ საამიერკავკასიანო ბალის გამო, რომლებიც სარწმუნო კავშირს ამყარებენ მიწისძვრებსა და დედამიწის ადებულებას შორის. ბოლო 30 წლის მანძილზე ამ რაიონში არაერთი მიწისძვრა მომხდარა და ჩვენც მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ:

ზემო სამეგრელო, 1955 წლის 25 დეკემბერი (6—7 ბალი);

1957 წლის იანვრის გეგეჭკორის მიწისძვრები (7—8 ბალი);

ახიგვარის — 1958 წლის 5 ივნისისა (7 ბალი);

ჩხალთის — 1963 წლის 16 ივლისისა (9 ბალი);

რეჩხის — 1978 წლის 21 დეკემბრისა (6 ბალი).

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის სეისმურობაზე წარმოდგენას გვაძლევს ბოლო დროს შედგენილი ნაკრები იზოსეისტების რუკაც, საიდანაც ჩანს, რომ 7—8-ბალიანი რაიონის ზონები საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. დედამიწის ზედაპირზე სეისმურ ეფექტს განსაზღვრავს მიწისძვრის მაგნიტუდა, ეპიცენტრალური მანძილი და ჰიპოცენტრის ჩაწოლის სიღრმე. ამ თვალსაზრისით ენგურის აუზში განლაგებული ობიექტები არახელსაყრელ პირობებშია.

გ. მურუსიძის გამოკვლევების მიხედვით, რომლებიც ბოლო წლებში მიღებული დიდი მოტულობისა და მეტად სარწმუნო ექსპერიმენტული მასალის მეცნიერულ დონეზე შესრულების შედეგია, დადგინდა, რომ ამ რაიონში მიწისძვრის ჰიპოცენტრების უმრავლესობა 5—10 კმ-ის სიღრმეზეა. ცნობილია, რომ ასეთ პირობებში 5,5 მაგნიტუდით მიწისძვრამ შეიძლება 8-ბალიანი ეფექტი მოგვცეს ზედაპირზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტაშკენტის 1966 წლის მიწისძვრის 8-ბალიანი ეფექტ მოგვცა მიწისძვრამ, რომლის მაგნიტუდა 5,1-ს უდრიდა, ჰიპოცენტრის ჩაწოლის სიღრმე კი 8 კილომეტრს.

ენგურის აუზი დაფარულია მიწისძვრის კერების წარმოშობადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ხუდონსა და მისი მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება 9—10 ბალიანი სეისმურობით.

ახლა გავარჩიოთ ენგურის წყალსაცავის გავლენა სეისმურ რეჟიმზე: ბოლო 15—20 წელია როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელ მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია ხელოვნურად აღძრული სეისმურობის პრობლემა, რომელიც ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედებით მიღებული სეისმური რეჟიმის ცვლილებების მექანიზმის დადგენასა და მოსალოდნელი ეფექტების პროგნოზირებას გულისხმობს. მსოფლიოს მრავალი ავტორიტეტიანი მეცნიერის გამოკვლევათა თანახმად, წყალსაცავების გავლენით (ჰიდრავლიკური წნევის გაზრდა) წნევიანმა წყალმა შეიძლება მიწისძვრათა კერების გაღლაგების სიღრმემდე (10—12 კმ) ჩააღწიოს, ამძიგავის როლი შეასრულოს და სეისმური აქტიურობა გამოიწვიოს. თუ ზოგიერთ ავტორიტეტს ეერწმუნებით, არსებულ ნაოლეკვებში წყლის შეღწევას ნარღვევების გასწვრივ ქანების გამორეცხვა და მიწისძვრა მოსდევს.

აქვე სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში აღწერილ ჰიდრო-სეისმურობის დამადასტურებელ ფაქტებსაც მოვიხმობთ.

კოინის კაშხალი (ინდოეთი). სიმაღლე 103 მეტრი. წყლის მოცულობა — 2780 მილიონი კუბური მეტრი. ავსება დაიწყო 1961 წელს. მომდევნო წელს კი, როცა წყლის მოცულობამ მილიონ კუბურ მეტრს მიაღწია, მოხდა რამდენიმე სუსტი მიწისძვრა. მომდევნო სამი წლის განმავლობაში, წყლის დაგროვებასთან ერთად მიწისძვრებიც ხშირდებოდა. ყველა მათგანის ეპიცენტრი წყალსაცავის რაიონში იყო. 1967 წლის 8 სექტემბერს 6—7-ბალიანი მიწისძვრა (მაგნიტუდა 5-6) აღინიშნა, ხოლო იმავე წლის 11 დეკემბრის მოხდა უძლიერესი მიწისძვრა, რომელმაც 9 ბალს მიაღწია. შემდეგ აქტიურობა თანდათან დაცხრა, მაგრამ, როცა კვლავ დაიწყეს წყალსაცავის ავსება, მიწისძვრაც განმეორდა (მაგნიტუდა 5-ს უდრიდა).

კრემასტის კაშხალი (საფრანგეთი). სიმაღლე 163 მ., წყალსაცავის მოცულობა — 4550 მილიონი კუბური მეტრი. შევსება დაიწყო 1965 წლის ივლისში. აგვიანებლივ, ამ ფაქტიურობამ მაშინ იჩინა თავი, როცა წყლის დონემ 100 მეტრს მიაღწია, ბიძგების რიცხვი 10-ჯერ გაიზარდა. 1966 წლის 5 თებერვალს კი მოხდა ძლიერი, 9-ბალიანი მიწისძვრა.

კარიბის კაშხალი (მდ. ზამბეზი). სიმაღლე 125 მ., მოცულობა — 160 მილიარდი კუბური მეტრი. შევსება 1959 წელს დაიწყო და 1963 წლამდე გაგრძელდა. 1963 წლის აგვისტოდან დაიწყო მიწისძვრების სერია, სექტემბრის მიწისძვრის შემდეგ კი, რომელმაც 9 ბალს მიაღწია, ერთი კვირის განმავლობაში 700 მიწისძვრა მოხდა; 1967 წლის აპრილში კვლავ განმეორდა ძლიერი ბიძგი, რომლის მაგნიტუდა 5,5-ს აღემატებოდა.

ბუვერის კაშხალი (აშშ). სიმაღლე 221 მ., მოცულობა — 37,5 მილიარდი კუბური მეტრი. ივსებოდა 1935—39 წლებში. რაიონი ასეისმურად ითვლებოდა, მაგრამ 1936 წელს, წყლის დონემ რომ 100 მეტრს გადააჭარბა, თავი იჩინა სეისმურმა აქტიურობამ. 1939 წელს მოხდა ძლიერი, 7-ბალიანი მიწისძვრა.

განგის კაშხალი (პაკისტანი). სიმაღლე 115 მ., წყალსაცავის მოცულობა — 2200 მილიონი კუბური მეტრი. შევსება დაიწყო 1967 წელს. აქაც აქტიურობამ მაშინ იჩინა თავი, როცა წყლის დონე 100 მეტრს მიუახლოვდა. ძლიერი მიწისძვრა არ მომხდარა, მაგრამ მისი განმეორადობის სიხშირემ რამდენჯერმე გადააჭარბა ფონურს.

ვაიონტის კაშხალი (იტალია). სიმაღლე 262 მ., მოცულობა — 170 მილიონი კუბური მეტრი. შევსება დაიწყო 1960 წელს. როცა სიმაღლემ 130 მ-ს მიაღწია, დაიწყო სუსტი მიწისძვრების სერია. 1962 წელს წყლის დონემ კიდევ 50 მეტრით აიწია, რასაც ძლიერი მიწისძვრები მოჰყვა.

ანალოგიური მაგალითის მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. ამგვარმა მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა კიდეც კოინის კაშხალი და 200-მდე კაციც იმსხვერპლა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (სეისმურად აქტიურ რაიონებში) განლაგებულ წყალსაცავთაგან აღსანიშნავია როგორ(ტაჯიკეთი), ტოქტოგულის (ყირგიზეთი), ჩირკეის (დაღესტანი), ნურეკის (ტაჯიკეთი) და ენგურისა (საქართველო). ყველა ზემოაღნიშნული ობიექტის სეისმურ რეჟიმს თანამედროვე მგრძნობიარე აპარატურით იკვლევენ. განსაკუთრებით დიდი შრომაა გაწეული ნურეკის წყალსაცავის ტერიტორიის სეისმური რეჟიმის გამოსაკვლევად, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ წყალსაცავი დიდ გავლენას ახდენს სეისმურობაზე. მიწისძვრის კერათა კონცენტრაცია წყალსაცავის არეში ხდება და მათი ჩაწოლის სიღრმე დაახლოებით 5 კილომეტრია. სუსტი მიწისძვრების რიცხვმა (შევსების შემდეგ) ორჯერ გადააჭარბა ფონურს. ჩირკეის რაიონში წარმოებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ 1974 წლის პირველ ნახევარში, წყალსაცავის შევსების დაწყებამდე, შეიმჩნეოდა სეისმური მიყუჩება, შევსების პროცესში კი გააქტიურდა სუსტი სეისმურობა, ხოლო მას შემდეგ, რაც წყლის დონემ 120 მეტრს მიაღწია, ძლიერი მიწისძვრები მოხდა.

ენგურის წყალსაცავის რაიონში სეისმური დაკვირვებანი 1976 წელს დამთავრდა, წყალსაცავის შევსება კი ორი წლის შემდეგ დაიწყო. სეისმურ დაკვირვებათა ორგანიზაცია და მიღებული მასალის სრული ინტერპრეტაცია ხდებოდა გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი სეისმოლოგიის განყოფილების ძალებით. განყოფილების ხელმძღვანელმა, აწ განსვენებულმა გ. მურუსიძემ, დიდი მეცნიერული მნიშვნელობის შრომები შექმნა ამ მიმართულებით. დაგროვილმა მასალამ (სუსტი მიწისძვრების სივრცული განაწილების შესახებ) დიდად შეუწყო ხელი მიწისძვრათა კერების წარმოშობის ზონების დადგენას აღნიშნულ რაიონში. დიდი მოცულობის სეისმური მასალის სარწმუნო ინტერპრეტაციის საფუძველზე მკვლევარს საშუალება მიეცა შეედარებინა ორი მნიშვნელოვანი პერიოდის (შევსებამდე და შევსების დაწყების შემდეგ) ფონური სეისმურობა. როგორც დადგინდა, სეისმური აქტიურობა მკვეთრად გაზრდილა წყალსაცავის შევსების დაწყებასთან დაკავშირებით. სწორედ 1978 წლიდან გაჩნდა სუსტი მიწისძვრების კერები უშუალოდ წყალსაცავის ფსკერქვეშ. აქაც, მსგავსად მსოფლიოში განლაგებული ყველა წყალსაცავისა, სეისმური აქტიურობა მკვეთრად გაიზარდა, როცა წყლის დონემ 100 მეტრს მიაღწია. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხუდონჰესის პროექტით გათვალისწინებული პარამეტრებით ამშენება მკვეთრად გაზრდის სეისმურ რისკს, რადგან წყალსაცავის გავლენის შედეგად გარდაუვალია რაიონში არსებული ნარღვევების გამოცოცხლება და იქ 9—10-ბალიან მიწისძვრათა ეპიცენტრების გაჩენა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში სეისმური საშიშროების საფრთხე მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც გამოწვეული იქნება ორი უზარმაზარი წყალსაცავის ერთიმეორის მიყოლებით არსებობით.

როცა ენგურის ხეობაში განლაგებულ ჰესების ბედზე ვლაპარაკობთ სეისმურობის თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია მეორე პრობლემის — დაშლამასაც დავუთმოთ ყურადღება.

წყალსაცავის ფსკერის დაშლამის პროცესებზე გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოძიების განყოფილებისა და საქართველოს სსრ ჰიდრომელიორაციის ინსტიტუტის მთის წყალსაცავების განყოფილების (ხელმძღვანელი — პროფესორი ნ. ვარაზაშვილი) თანამშრომელთა ერთობლივი ინსტრუმენტულ დაკვირვებათა მასალების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ დაშლამვის ჯამურმა მოცულობამ ექსპლოატაციის 5 წლის განმავლობაში 31,2 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, წინასწარ ნავარაუდევი 17,7 მილიონის ნაცვლად. სამწუხაროდ, ჰიდრონაგებობათა დაპროექტებისას ბევრი სპეციალისტი შეგნებულად სცოდავს დაშლამვის პროცესების პროგნოზის ობიექტურ შეფასებაში. ალბათ ნაგებობის აშენების აუცილებლობის კიდევ ერთი ხელსაყრელი დოკუმენტის შექმნის მიზნით.

უკანასკნელი მონაცემებით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნალექების ზრდა კაშხლის მიმდებარე უბანზ

ყველაზე კარგი წამალი

კონცერტი სამ საათზე იყო დანიშნული, მაგრამ ადგილზე გაცილებით ადრე ჩასულებს, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მომღერლებს ერთად თავშეყრილნი დახვდნენ სომხეთის მიწისძვრას გამორიდებული და სიღნაღის ტურბაზაში თავშეფარებული ოჯახები. მოცდას აზრი აღარ ჰქონდა და კონცერტი, დანიშნულ დროზე ადრე დაიწყო. თითქმის ორი საათის განმავლობაში იყო სევდიანი წუთებიც, იუმორიც, იყო ურთიერთგაგებაც და კიდევ ერთხელ ჩაფიქრება, თუ რას ნიშნავს გაჭირვებაში ჩავარდნილი მეზობელი, ან რას ნიშნავს, როცა ჭირში დახმარების ხელს გამოგიწვდიან...

კონცერტზე ერთმანეთს ცვლიდა ფალიაშვილისა და გლინკას, ბალანჩივაძისა და არაყიშვილის, დუდუხანიანისა და ბულახოვის, ლაღიძისა და აზარაშვილის ნაწარმოებები...

იმ დღეს ზ. ანჯაფარიძემ და მ. ამირანაშვილმა, ნ. მკერვალიძემ და ვლ. კანდელაკმა, ლ. ღვედაშვილმა და ა. ფიოლიამ, ლ. ჩარაშვილმა, მ. დავითაშვილმა და სხვებმა ჩვეული ოსტატობითა და გულითადობით ჩაატარეს კონცერტი. მსმენელმა გულმხურვალედ მიიღო ხელოვანთა გამოსვლა.

— ფიქრიც კი მზარავს იმის წარმოდგენაზე, რა უბედურება ეწვიათ ჩვენს მოძმეებს. ისე ვიღლავდი როგორც დიდ ქალაქში, დიდ საკონცერტო დარბაზში გამოსვლის დროსო, გვითხრა მ. ამირანაშვილმა.

— მე გარნიკ გალსტიანი ვარ, ძასწავლებელი, — გვეუბნება ხაში შესული კაცი, — ჩაიწერეთ ჩემი მისამართი, ღმერთმა ჭირი გაშოროთ, მაგრამ ისე, სტუმრად ჩამოდით ჩემთან, როცა ჩვენს სახლებს დაგუბრუნდებით. ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჩვენთვის თქვენი ყურადღება. აი ჩემი მეგობარი არტუშ გევორქიანიც დამეთანხმება, რა ბედნიერები ვართ, რომ მოგვეცით საშუალება ჩვენმა ბავშვებმა შობლიურ ენაზე ისწავლონ. თქვენმა კონცერტმა კი ორი საათით დაგვავიწყა ჩვენი უბედურება...

რაკი სიღნაღში გამართული კონცერტის შესახებ გიამბეთ, აქვე, ამ თემის ერთგვარ გაგრძელებასაც გთავაზობთ.

ამ დღეებში ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორის ზურაბ ლომაძის სახელზე ერევნიდან ასეთი წერილი მოვიდა!

„... ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთელ კოლექტივზე საოცრად იმოქმედა ქართველი ხალხის ჩვეულმა გულითადობამ, ზრუნვამ, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გამოიჩინა... ჩვენი ხალხის უბედურების პირველსავე საათებში სომხების საუკუნო ძმები — ქართველები მაშინვე აღმოჩნდნენ საშინელი ნგრევის ცენტრში. გამოიჩინეს თავდადება ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისათვის და უდიდესი მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინეს დაზარალებულებს. დაგვერწმუნეთ, მეგობრებო, რომ სომეხი ხალხისათვის საშინელი 1988 წლის დეკემბერი ჩვენს ისტორიაში შევა როგორც იშვიათი მაგალითი ქართველი ხალხის დიდი სიყვარულისა და უანგარო დახმარებისა. ქედს ვიხრით თქვენს წინაშე, ძვირფასო კოლეგებო. გისურვებთ უდიდეს შემოქმედებითს წარმატებებს და უღრუბლო, ბედნიერ ცხოვრებას მთელს ქართველ ხალხს.

კოლექტივის სახელით, ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი ი. მ. ტერ-ვოსკანიანი.

ციცინო ჯერვალიძე.

კომპიუტერი სკოლაში





მეფყერი გვიჯავს

სტიქიამ კვლავ შემაშფოთებელი ვითარება შექმნა ცაგერისა და წულუკიძის რაიონებში.

12 მარტს, ნაშუადღევს, სოფელ ღვედთან მეწყერმა გადახიდა მდინარე ცხენისწყალი ორი რაიონის საზღვარზე. სულ რამდენიმე საათში აქ გაჩნდა 3 კილომეტრის სიგრძისა და 70 მეტრი სიგანის ხელოვნური ტბა. წყალმა მთლიანად დაფარა მდინარის ნაპირები და აქ გაყვანილი საავტომობილო გზა. ცაგერ-ქუთაისის მაგისტრალზე შეწყდა ტრანსპორტის მიმოსვლა. სამედიცინოდ, სტიქიას არ დაუზარალებია დასახლებული პუნქტები, მაგრამ კაშხალის გარღვევის შემთხვევაში საფრთხე ემუქრება როგორც წულუკიძის რაიონის სოფლებს, ისე თვით ქალაქსაც. სიტუაცია მწვავდება მეწყრის შემდგომი მოძრაობის გამო.

შემთხვევის ადგილზე ჩამოსული თბილისისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სპეციალისტები ეძებენ სტიქიასთან ბრძოლის ოპტიმალურ გზებს.

(საქინფორმი).

თბილისის პირველ საშუალო სკოლაში 1985 წლიდან არსებობს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს რესპუბლიკაში.

კაბინეტი აღჭურვილია იაპონური ფირმა „იამაჰას“ სპეციალური სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტით, რომელიც შედგება თხუთმეტი სამოსწავლო და ერთი მასწავლებლის კომპიუტერისაგან. კაბინეტს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა პედაგოგი გია თოდრია, რომელსაც შარშან წლის საუკეთესო მასწავლებლის სპეციალური წოდება მიენიჭა.

— ჩვენი მიზანია, — გვიამბობს იგი, — შევასწავლოთ უფროსი კლასის მოსწავლეებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და მისი პრაქტიკული გამოყენება, თანაც შევასწავლოთ ისე, რომ სიმწიფის ატესტატთან ერთად გამოთვლითი მანქანის პროგრამისტის სპეციალობის სბუთიც გადავცეთ.

ინფორმატიკის კაბინეტში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობის გარდა მოქმედებს ინფორმატიკის წრეებიც უმცროსკლასელებისათვის, სადაც ყმაწვილები ეუფლებიან კომპიუტერებთან მუშაობის ელემენტარულ კურსს, მისი მართვის საიდუმლოს.

ამ სურათზე აღბეჭდილი ყმაწვილები მე-6 მეოთხე კლასის მოსწავლეები არიან, ასეთი გულისყურით რომ მისხდომიან კომპიუტერებს.

სიმონ კილაძის ტექსტი და ფოტო.

სპორტის ამბები

•ფეხბურთი

ჩემპიონი ბორკვიტი — ბნყოგს

საბჭოთა კავშირის ხელოვნებათა ... პიონატს უკვე ჰყავს ლიდერი. ეს გახლავთ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე ანგარიშით 2:0 (0:0) დაამარცხა საკავშირო თასის მფლობელი ხარკოვის „მეტალისტი“ (ამ მატჩში გოლები გაიტანეს პუჩკოვამ და კუდრიცკიმ). პირველი გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე დონეცკის „შახტიორმა“ და ერევნის „არარატმა“. დონეცკელებმა მოუგეს მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 1:0, ერევნელებმა კი ასეთივე ანგარიშით აჯობეს მინსკის „დინამოს“. ფრედ — 1:1 დამთავრდა „ტავრია“ — „ტორპედო“ — „ოლიმპიოსი“ და „პამირ“-„როტორის“ შეხვედრები. ჩემპიონატის პირველი გოლი მე-16 წუთზე გაიტანა „როტორის“ თავდასხმელმა ოლეგ კრუშინმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ვილნიუსის „ჟალგირისი“. გიამარჯვეს სპარტაკელებმა — 4:0. პირველი ტურის ბოლო მატჩი (მოსკოვის „დინამო“-„ზენიტი“) დღეს გაიმართება, 17-18 მარტს კი მორიგი ტურია დანიშნული. თბილისის დინამოელები 18 მარტს მოსკოვის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებენ.

სატურნირო ორბიტა

● **ჩოგბურთი.** მოსკოვში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ოქროს მედალს დაეუფლა 18 წლის ოდესელი სპორტსმენი ელენა ბრუხოვეცი, რომელმაც ფინალში ანგარიშით 6:4, 6:2 დაამარცხა კიეველი ნატალია მედვედევა. მესამე ადგილი დაიკავა ლვოველმა ლარისა სავჩენკომ.

ბრუხოვეცის წარმატება მოულოდნელი კი იყო, მაგრამ შემთხვევითს ვერ უწოდებ. ახალგაზრდა ოდესელმა ჩოგბურთელმა ბრძოლიდან გამოთიშა მინსკელი ნატალია ზვერევა და თბილისელი ლეილა მესხი.

● **კალათბურთი.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ასე დამთავრდა: მინსკის რტი — მოსკოვის „დინამო“ — 106:79 და 98:97; კიევის „სტროიტელი“ — ვილნიუსის „სტატიბა“ — 91:90 და 58:66; დონეცკის „შახტიორი“ — ალმა-ათის ასკ — 99:117 და 100:111.

● **სამბო.** ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი სამბოში 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საქართველოს ფალავნებმა ამ შეჯიბრებაში ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ ნუკრი გაგნიაშვილი (70 კგ, მწვრთნელი როინ ყორლანაშვილი, საგარეჯო, პროფკავშირები) და ერვანდ მარტიროსიანი (81 კგ, მწვრთნელი ვლადიმერ კუვიჩკო, სოხუმი „დინამო“), 30-რცხლის მედალი მიიღო მეევდუ მელაძემ (48 კგ, მწვრთნელი ზაურ ბაბტაძე, თბილისი, შეიარაღებული ძალები), ბრინჯაოსი — არჩილ ბიძინაშვილმა (62 კგ, მწვრთნელი ელიზბარ ბიგანიშვილი, თბილისი, „დინამო“).

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, აჭარისა და გურიის მთებში ზვავი, იქროლებს წამში 9-14, ზოგან 17-22 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 4-9, დღისით 15-20, სანაპირო რაიონებში — დღისით 10-15, მთაში — ღამით 1-6, დღისით 12-17, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 2-პლუს 3, დღისით 6-11 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: ცვალებადი მოღრუბლული ობა. უნალექო, როკის გადასასვლელზე ზვავი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 2-7, დღისით 12-17, მთაში — ღამით 2-5, დღისით 5-10 გრადუსი სითბო, მაღალმთიანეთში — ღამით 2-5 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

თბილისში — მშრალი ყმინდი, ტემპერატურა ღამით 5-7, დღისით 14-16 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ფესი, რიგი და ჩვენ

● **შარშან საქართველოში 2396 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რომელთა შედეგად დაიღუპა 658 და მძიმედ დაშავდა 2801 კაცი. 1987 წელთან შედარებით შემთხვევათა რიცხვმა 17 ერთეულით იკლო, დაშავდა 24 ადამიანით ნაკლები.**

ავტოავარიების დონემ 1000 ავტომობილზე გაანგარიშებით 3,9 ერთეული შეადგინა და 1987 წელთან შედარებით 3,7 პროცენტით იკლო. მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ შარშან, წინა წელთან შედარებით, ავტოავარიების შედეგად 36 კაცით მეტი დაიღუპა, გაცილებით იმატა ისეთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვმა, რომლებშიც ერთდროულად სამი ან მეტი ადამიანი დაიღუპა.

ავტოავარიათა ცალკეული მაჩვენებლები გაიზარდა ახალქალაქის, ყაზბეგის, გეგეჭკორის, დმანისის, ზესტაფონის, მესტიის, ცხაკაიას, სარჩერის და წალენჯიხის რაიონებში, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის სამტრედიის, გორის, ბოლნისისა და ხაშურის ოცეულების სამოქმედო ტერიტორიებზე.

გვაფიქრებს ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმი: რესპუბლიკაში შარშან გარდაცვალა 34 და დაშავდა 16 წლამდე ასაკის 145 ყმაწვილი.

დასკვნა ერთია, ყველაფერი იმის შედეგია, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთ რეგიონალურ ქვედანაყოფებში ჯერ კიდევ არ იგრძნობა გარდაქმნა, ჯერ კიდევ ყველგან თანმიმდევრულად, დაბეჯითებით როდი ხორციელდება არსებითი გარდატეხა.

სავალალოა ავტოინსპექციის მოღვაწეობაში დაშვებული წუნის შედეგები. ჩვენ ჩვენი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით განპირობებული პრობლემებიც ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს, ცხადია, არაერთი სერიოზული ხარვეზია ჩვენს მუშაობაშიც, რომელიც ხელს გვიშლის გამოვვლინოთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი, ავაძოქმედოთ შინაგანი რეზერვები, მაგრამ საქმეს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ ვერ ვგრძნობთ კომპეტენტურ ორგანიზაციათა მხარში ამოდგომას, ურთიერთთანამშრომლობას. ხშირად უწყებრივი ინტერესების გულისთვის აფუჭებენ ხოლმე საერთო პრობლემას. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს მუშაკების მიერ სატრანსპორტო ორგანიზაციათა შემოწმების მასალებში უმეტესწილად ფიგურირებს ამგვარი განმარტებები: „უკიდურესად დაბალ დონეზე დგას შრომისა და საწარმოო დისციპლინა, მძღოლებთან არავინ ეწევა აღმზრდელობითი მუშაობას, საქმე თვითდინებაზეა მიშვებული, დაბალია მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი, მძღოლებს სახელმწიფო ავტომანქანა თავის კერძო საკუთრებად მიაჩნიათ, არ გაჩნიათ სარემონტო ბაზა, სერიოზული დარღვევებია სადისპეტჩერო და სასპეციალურ მეურნეობებში, სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლოატაციის სამეში, არაეთიარი მუშაობა არ წარმოებს ატმოსფერული ჰაერის დაცვისათვის, სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული ხაზზე მძღოლთა მუშაობისადმი“ და ა. შ.

რა თანადგომაზე შეიძლება ლაპარაკი ამგვარ ვითარებაში, საწარმოო კულტურის ასეთ ფონზე!

შარშან ავტოინსპექციის მუშაკებმა გამოავლინეს 1600-მდე მძღოლი, რომლებიც ღამით თავის სახლთან აყენებდნენ სახელმწიფო ავტომობილს. განსაკუთრებით ბევრია სერიოზული დარღვევები სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის მხრივ ასწრებს საწარმოო გეგმების შესრულებას.

შარშან სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 1015058 ფაქტი გამოავლინეს და ამ დამრღვევთაგან 16 725 მთვრალი მართავდა ავტომანქანას. ეს ის დარღვევებია, — რომელთა აღკვეთა შეძლო ავტოინსპექტორმა, მაგრამ ვინ უწყის, რამდენი დარჩა მისი ყურადღების მიღმა.

შარშან სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელთა მიზეზით რესპუბლიკაში 1397 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა (ანუ მძღოლების მიზეზით მომხდარი შემთხვევების 67 პროცენტი). ამ ავტოავარიებს 360 ადამიანი შეეწირა, 1794 კი მძიმედ დაშავდა.

შეცდომა იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ ამ საბედისწერო ავტოავარიებში მონაწილე მძღოლებმა რაღაც განსაკუთრებული დარღვევა ჩაიდინეს. რასაკვირველია, არა. ეს სწორედ ის დარღვევებია, რომლებსაც ხშირად უმნიშვნელოს უწოდებს ზოგიერთი მძღოლი, ეს ის დარღვევებია, რომელთა აღკვეთასაც ვერ ახერხებს და ვერ ასწრებს სახელმწიფო ავტოინსპექტორი. აი ზოგიერთი საილუსტრაციო ფაქტიც:

მოქალაქე ა. ბულავინმა გარდაბნის რაიონში ჯანდარა-რუსთავის საავტომობილო გზაზე საკუთარი ავტომობილით მგზავრობისას დაარღვია გზაჯვარედინებზე გაგლის წესი და ჯერ სატვირთო, შემდეგ „რაფის“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. ავტოავარიის შედეგად 3 კაცი დაიღუპა, 8 კაცი ძმიმედ დაშავდა. გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯთან „ვაზ-21011“ მარკის ავტომობილის მფლობელმა ს. ვარდანიამ დაარღვია უსაფრთხოების წესები, გადავიდა გზის შემხვედრი მოძრაობის ზოლში და სატვირთო ავტომობილს შეეჯახა. ავტოავარიამ 3 ადამიანი იმსხვერპლა. კასპის რაიონის სოფელ ოკამთან გორის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოოპერატივ „წმინდა წყლის“ თანამშრომელი რ. ნაკაშიძე „ჟიგულით“ მგზავრობისას გადავიდა გზის შემცველი მოძრაობის ზოლში, სადაც ავტომობილს შეეჯახა. 3 ადამიანი დაიღუპა, 2 კი ძმიმედ დაშავდა. ანალოგიური დარღვევა ჩაიდინა რუსთავის გზატკეცილზე თბილისის №5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა მ. კახური კომიტეტში გამართულ თათბირზე საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა ყველა სახის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ატუალური საკითხები. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ავარიების გამომწვევი მიზეზი უმეტესწილად საწარმოებში უაღრესად სუსტი შრომის და საწარმოო დისციპლინაა და ამ მხრივ პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრა უშუალოდ შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობას.

ახლა ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომოტორანსპორტი ვიკითხოთ, სისხამ დილიდან გვიან ღამემდე რომ დაპატრონებია ქუჩებსა და გზებს. ისეთი შთაბეჭდილება ექმნება ადამიანს, რომ ჩვენთან მუდმივი პიკის საათია. ხშირად გაუგებარია, ყოველდღიურად ქუჩებში ავტომობილებით გამოსული ეს ზღვა ხალხი როდის ბოლოს ადამიანებს. უხერხულობას ვგრძნობ, რადგან უს იგივეა, წვერულვაშიან კაცს აუხსნა, თუ რა მოპყვება მდუღარე წყალში ხელის ჩაყოფას. არადა, ზოგიერთი საპესთან მჯდომის სქ�iელი სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მივუგდოთ ყური ექიმ ნარკოლოგებს, რომლებიც, სხვათა შორის, ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ალკოჰოლის „დიდი“ და „მცირე“ დოზა (ვინც ასე ფიქრობს, ცხადია, შეგნებულად იტყუებს თავს და ნებაყოფლობით ზრდის შანსს გახდეს უგუნურობის მსხვერპლი). ისინი ამბობენ და ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მძღოლი ასეთ დროს მოკლებულია სწორედ იმ თვისებებს, ურომლისოდაც ადამიანმა არ უნდა მართოს ავტომობილი, რადგან ყოველ წამს მოსალოდნელია უბედურება.

შარშან მთვრალი მძღოლების მიზეზით საქართველოში 107 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 32 და ძმიმედ დაშავდა 144 კაცი. რატომ და რისთვის, ხალხო?!

შეიძლება დავემდუროთ ავტოინსპექციას, ცუდ გზებს, ავტომობილის სიმძლავრეებს; კი, ბატონო, მაგრამ იმაში რაღა გვიშლის ხელს, რომ ბაგა-ბაღის შენობასთან სკოლა შევანლოთო, მთვრალი არ მივუჯდეთ ავტომობილს საჭეს და საავტომობილო გზებზე ერთმანეთს სიცოცხლე არ გავუმწაროთ. ასეთი თავკერძოობისა და დაუდევრობის გამო კი ყოველწლიურად საშუალოდ 700-მდე ადამიანს ვკარგავთ, მათ შორის 16 წლის ასაკამდე ყმაწვილებს.

როცა თანადგომაზეა საუბარი, ცხადია, გზებზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ჩვენ უწინარესად ცენტრალური გზები გვაქვს მხედველობაში და აღარაფერს ვამბობთ სასოფლო გზების მდგომარეობაზე, ადგილობრივ კაცსაც რომ აწყვეტინებს იქ პირველ დამსახლებელს, თორემ უცხოს იქ რა მიიყვანს. ამიტომ გვაქვს ჯერ კიდევ შემორჩენილი „მივარდნილი“ და „მიყრუებული“ სოფლები.

გზების მდგომარეობით ერთერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ მოძმე რესპუბლიკებს შორის, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი საავტომობილო გზის ნოვოროსიისკ-თბილისი-ბაქოს-გორი-ნატახტრის მონაკვეთზე და იქ სადღეღამისო წლიურმა ინტენსიურობამ ბევრად გაასწრო ნორმით გათვალისწინებულს. სახელმწიფო ავტოინსპექცია მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთ ღონისძიებას მიმართავს, მაგრამ სადღეღამისოდ საავტომობილო გზაზე შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა კვლავ კატასტროფულია. ბოლო სამი წლის განმავლობაში გორ-ნატახტრის საავტომობილო გზის 60 კილომეტრიან მონაკვეთზე 232 შემთხვევა მოხდა, რომლებმაც 114 ადამიანი იმსხვერპლა, 352 კი ძმიმედ დაშავდა.

1987 წელს დაიწყო იგოეთ-ნატახტრის მონაკვეთზე პარალელური გზის გაყვანის საპროექტო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა საავტომობილო გზების დაპროექტების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი. პროექტი მზადაა. წლეულს მშენებლობისათვის 2 მილიონ 550 ათასი მანეთი გამოიყო, მაგრამ ზემდგომ ორგანოებში ჩვენი წერილობითი მმართველის გათვალისწინებით ეს თანხა 6 მილიონამდე გაიზარდა. თუმცა ეს კი მიგვიჩნია საკმარისად. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მიუხედავად დიდი მოწადინებისა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს არ ჰყოფნის ამ მშენებლობისთვის საჭირო საწარმოო სიმძლავრეები. საჭიროა დამხმარე ძალების მობილიზება და ამ საშენებლო საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს, თითოეულ მოქალაქეს. აი, სად არის საჭირო თანადგომა. მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს გზის მშენებლობა.

წლეულს რესპუბლიკაში უაღრესად დაიძაბა ავარიულობის ოპერატიული ვითარება. იანვარსა და თებერვალში საავტომობილო გზებსა და ქუჩებში 300 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, გარდაიცვალა 99 და ძმიმედ დაშავდა 337 ადამიანი. აღნიშნული ციფრები სიკვდილზალად ჭარბობს შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამიტომაც იყო, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში 1 მარტს დაიწყო და 30 აპრილამდე გასტანს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება.

როგორც ზემოთაც ვთქვით, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციის წინაშე დღეს არაერთი პრობლემა და გადაუჭრელი საკითხია და თითოეულ მათგანზე ცალკე მსჯელობისათვის, რასაკვირველია, ერთ საგაზეთო წერილში ადგილი არ გვეყოფა, შესაძლოა იმითაც, რაზეც გვქონდა საუბარი, მეტად მუქ ფერებში წარმოჩენდა ჩვენი გზებისა და ქუჩებ'ს დღეგანლელი მდგომარეობა, მაგრამ, როგორც დიდმა ვალემ ბრძანა, ჩვენ „აცია ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა. იქვე ისიც არის ნათქვამი, რომ ავადმყოფი მარტო ცარიელის იმედით არ მორჩება, თუ წამალი არ მიეშველაო...

ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ ამ წამალს, ერთად, თანადგომით.

ბიორგი ცინცაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი.

ერთად, თანადგომით

რატომ გაიზარდა ავტო-საგზაო შემთხვევები?

ახალგორმოეწვის, საავტომობილო ტრანსპორტის და გზების მშენებლობის სამინისტროს, სახალხო განათლების სამინისტროს, ეკავშირის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და სხვა დაწესებულებებში. ცხადია, ეს გარემოება ამ მხრივ ადგილებზე სახელმწიფო ავტოინსპექციის დანაყოფების სუსტ მუშაობაზეც თვალსაჩინოდ მეტყველებს.

შარშან სახელმწიფო ავტოტრანსპორტის მძღოლების მიზეზით რესპუბლიკაში 504 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რომელთა შედეგად 191 კაცი გარდაიცვალა, 561 კი ძმიმედ დაშავდა. მართალია, შემთხვევათა რიცხვი 1987 წელთან შედარებით რამდენადმე შემცირდა, მაგრამ აღნიშნულმა ავტოავარიებმა 22 ადამიანით მეტი იმსხვერპლა. შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ 10 ერთეულით გაიზარდა სამგზავრო ტრანსპორტის, კერძოდ ავტობუსების მონაწილეობით მოძღვარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი და ამ ავტოავარიების შედეგად დაშავებულ ადამიანთა რაოდენობა.

შარშან ავარიულობის ყველა ძირითადი მაჩვენებლის ზრდა აღინიშნა სატრანსპორტო მშენებლობის, ფერადი მეტალურგიის საწარმოების, სატყეო მეურნეობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქმიდროენერგომშენის სისტემის ავტომოტორანსპორტზე. ამ რამდენიმე ხნის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტში გამართულ თათბირზე საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა ყველა სახის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ატუალური საკითხები. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ავარიების გამომწვევი მიზეზი უმეტესწილად საწარმოებში უაღრესად სუსტი შრომის და საწარმოო დისციპლინაა და ამ მხრივ პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრა უშუალოდ შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელობას.

ახლა ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომოტორანსპორტი ვიკითხოთ, სისხამ დილიდან გვიან ღამემდე რომ დაპატრონებია ქუჩებსა და გზებს. ისეთი შთაბეჭდილება ექმნება ადამიანს, რომ ჩვენთან მუდმივი პიკის საათია. ხშირად გაუგებარია, ყოველდღიურად ქუჩებში ავტომობილებით გამოსული ეს ზღვა ხალხი როდის ბოლოს ადამიანებს. უხერხულობას ვგრძნობ, რადგან ეს იგივეა, წვერულვაშიან კაცს აუხსნა, თუ რა მოპყვება მდუღარე წყალში ხელის ჩაყოფას. არადა, ზოგიერთი საპესთან მჯდომის სქcinიელი სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას სტოვებს.

მივუგდოთ ყური ექიმ ნარკოლოგებს, რომლებიც, სხვათა შორის, ამტკიცებენ, რომ არ არსებობს ალკოჰოლის „დიდი“ და „მცირე“ დოზა (ვინც ასე ფიქრობს, ცხადია, შეგნებულად იტყუებს თავს და ნებაყოფლობით ზრდის შანსს გახდეს უგუნურობის მსხვერპლი). ისინი ამბობენ და ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მძღოლი ასეთ დროს მოკლებულია სწორედ იმ თვისებებს, ურომლისოდაც ადამიანმა არ უნდა მართოს ავტომობილი, რადგან ყოველ წამს მოსალოდნელია უბედურება.

შარშან მთვრალი მძღოლების მიზეზით საქართველოში 107 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 32 და ძმიმედ დაშავდა 144 კაცი. რატომ და რისთვის, ხალხო?!

შეიძლება დავემდუროთ ავტოინსპექციას, ცუდ გზებს, ავტომობილის სიმძლავრეებს; კი, ბატონო, მაგრამ იმაში რაღა გვიშლის ხელს, რომ ბაგა-ბაღის შენობასთან სკოლა შევანლოთო, მთვრალი არ მივუჯდეთ ავტომობილს საჭეს და საავტომობილო გზებზე ერთმანეთს სიცოცხლე არ გავუმწაროთ. ასეთი თავკერძოობისა და დაუდევრობის გამო კი ყოველწლიურად საშუალოდ 700-მდე ადამიანს ვკარგავთ, მათ შორის 16 წლის ასაკამდე ყმაწვილებს.

როცა თანადგომაზეა საუბარი, ცხადია, გზებზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ჩვენ უწინარესად ცენტრალური გზები გვაქვს მხედველობაში და აღარაფერს ვამბობთ სასოფლო გზების მდგომარეობაზე, ადგილობრივ კაცსაც რომ აწყვეტინებს იქ პირველ დამსახლებელს, თორემ უცხოს იქ რა მიიყვანს. ამიტომ გვაქვს ჯერ კიდევ შემორჩენილი „მივარდნილი“ და „მიყრუებული“ სოფლები.

გზების მდგომარეობით ერთერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ მოძმე რესპუბლიკებს შორის, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი საავტომობილო გზის ნოვოროსიისკ-თბილისი-ბაქოს-გორი-ნატახტრის მონაკვეთზე და იქ სადღეღამისო წლიურმა ინტენსიურობამ ბევრად გაასწრო ნორმით გათვალისწინებულს. სახელმწიფო ავტოინსპექცია მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთ ღონისძიებას მიმართავს, მაგრამ სადღეღამისოდ საავტომობილო გზაზე შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა კვლავ კატასტროფულია. ბოლო სამი წლის განმავლობაში გორ-ნატახტრის საავტომობილო გზის 60 კილომეტრიან მონაკვეთზე 232 შემთხვევა მოხდა, რომლებმაც 114 ადამიანი იმსხვერპლა, 352 კი ძმიმედ დაშავდა.

1987 წელს დაიწყო იგოეთ-ნატახტრის მონაკვეთზე პარალელური გზის გაყვანის საპროექტო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა საავტომობილო გზების დაპროექტების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი. პროექტი მზადაა. წლეულს მშენებლობისათვის 2 მილიონ 550 ათასი მანეთი გამოიყო, მაგრამ ზემდგომ ორგანოებში ჩვენი წერილობითი მმართველის გათვალისწინებით ეს თანხა 6 მილიონამდე გაიზარდა. თუმცა ეს კი მიგვიჩნია საკმარისად. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მიუხედავად დიდი მოწადინებისა, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს არ ჰყოფნის ამ მშენებლობისთვის საჭირო საწარმოო სიმძლავრეები. საჭიროა დამხმარე ძალების მობილიზება და ამ საშენებლო საქმეში თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს, სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს, თითოეულ მოქალაქეს. აი, სად არის საჭირო თანადგომა. მაქსიმალურად უნდა დაჩქარდეს გზის მშენებლობა.

წლეულს რესპუბლიკაში უაღრესად დაიძაბა ავარიულობის ოპერატიული ვითარება. იანვარსა და თებერვალში საავტომობილო გზებსა და ქუჩებში 300 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, გარდაიცვალა 99 და ძმიმედ დაშავდა 337 ადამიანი. აღნიშნული ციფრები სიკვდილზალად ჭარბობს შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამიტომაც იყო, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში 1 მარტს დაიწყო და 30 აპრილამდე გასტანს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება.

როგორც